ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠ�გᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

№ 110 (19552) ◆ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 14 ᲛᲐᲘᲡᲘ, 1986 ᲬᲔᲚᲘ. ◆ ᲤᲐᲡᲘ 8 ᲙᲐ�პ.

ᲓᲐᲛᲡᲕᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲡ ᲙᲔᲗᲘᲚᲘ ᲛᲐᲡᲠᲘᲜᲫᲚᲝᲑᲐ ᲣᲜᲓᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲐᲓ მილიონობით მშრომელი ჩამოდის საქართველოში დასასვენებლად, სამკურნალოდ და ჯანმრთელობის გასაკეთებლად. თითქმის მთელი წლის მანძილზე საკურორტო სეზონია ჩვენში. დამსვენებელთა დიდი ნაკადი კი განსაკუთრებით ზაფხულშია, როცა მასობრივი შვებულებების პერიოდი დგება. ცხადია, ეს დრო ყველაზე უფრო პასუხსაგები და დიდ სამუშაოთა შესრულების ხანაა, რადგან ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ სტუმრებს გულღია, კეთილი, თადარიგიანი, თავაზიანი დამოკიდებულება, მასპინძლობა და პატივისცემა უნდა.

ერთი სიტყვით, ჩვენმა ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა სამეურნეო, სამედიცინო ორგანიზაციებმა ყველაფერი უნდა იღონონ იმისათვის, რომ მშრომელ ადამიანებს შეუქმნათ კარგი მკურნალობის, დასვენების, გართობის, ხალისიანი დროს გატარების პირობები, სერვისის მაღალი კომპლექსი ისე გამართულად უნდა მუშაობდეს, რომ შინ, სამშობლოში, სამუშაოზე დაბრუნებულმა მშრომელებმა მხოლოდ მადლობის სიტყვები თქვან, კმაყოფილების გრძნობით მოიხსენიონ ჩვენი რესპუბლიკა, კეთილად მოიგონონ ყველა ისინი, ვინც მათ უვლიდა, ემსახურებოდა და ვისთანაც შეხვედრები ჰქონდათ.

საკურორტო სეზონისათვის მზადების საკითხებს მიეძღვნა ამას წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართული თათბირი, რომელმაც განიხილა პარტიის XXVII ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად რესპუბლიკის კურორტების მუშაობის შემდგომი სრულყოფის საქმეში პარტიული, საბჭოთა ორგანოების ამოცანები. რესპუბლიკურ თათბირზე დიდი პარტიული, პრინციპული სჯა-ბაასი მიმდინარეობდა სადღეისო პრობლემებზე, წარმატებებსა და ნაკლოვანებებზე, ჩრდილოვან მხარეებზე, გამოუყენებელ რეზერვებზე, რომელთა მოგვარებამ, ამოქმედებამ და გადაწყვეტამ ხელი უნდა შეუწყოს მშრომელთა ნორმალურ დასვენებას, მკურნალობას, ჯანმრთელობის გაკეთებას, ადამიანებისათვის სიამოვნების მინიჭებას.

ცხადია, ჩვენს კურორტებზე, დასასვენებელ და გამაჯანსაღებელ ადგილებში ბოლო ხანს ბევრი რამ გაკეთდა, მოგვარდა, მაგრამ ნაკლი და ხარვეზი მაინც ბლომად არის, რომელთა გამოსწორება უადრესად დაძაბულ მუშაობას, მოვალეობისადმი შემართულ მიდგომას, საქმისათვის პასუხისმგებლობის გაზრდას მოითხოვს. რა თქმა უნდა, ყველაფერი რომ რიგზე იყოს, დასვენებლებს სასიამოვნო პირობები რომ შეექმნას, საჭიროა გაძლიერდეს კონტროლი, შრომითი კოლექტივების მიერ ნაკისრი ვალდებულებათა შესრულებისათვის გაწეული მუშაობის შემოწმება. ახლა, ამ ეტაპზე ადგილობრივი ორგანიზაციების უმთავრესი ამოცანა ის არის, რომ განუხრელად შესრულდეს რესპუბლიკური თათბირის მიერ დასახული ამოცანები, შემუშავებული რეკომენდაციები, რათა ყველა დაირაზმოს და მუდამ მზად იყოს კეთილი მასპინძლობის გასაწევად.

დამსვენებელთა მისაღებად უთოდ სასიკეთო ძვრებია საქართველოს შავი ზღვისპირეთის, მთისა და ბარის კურორტებზე, სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებში. როგორც თათბირზე თქვეს, კარგი მკურნალობა დამოკიდებულია კვალიფიციურ ექიმებსა და მოვალეობებზე. მაგრამ ზოგგან ამ მხრივ ჯეროვანი წესრიგი არ არის დამყარებული. მაგალითად, „საქკურორტსაბჭოს“, ადგილობრივი კურორტების სამმართველოს, ბაღრის, ფაფალეულობის, ხაირმის და სხვა გამაჯანსაღებელ ობიექტებს ასობით საექიმო შტატი დაუკომპლექტებელი ან მოუწესრიგებელი აქვს. ეს იმის ბრალიც არის, რომ მოუგვარებელია ასაკგაზრდა სპეციალისტთა განაწილების საქმე, ხოლო ადგილებზე სამუშაოდ ჩასულ სამედიცინო პერსონალს ვერ უქმნიან მუშაობისა და ცხოვრების შესაფერის პირობებს. ჩვენი კურორტების სამედიცინო პერსონალით დაკომპლექტების საქმე, მათთვის სათანადო პირობების შექმნა და ადგილებზე დამკვიდრება საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის, პარტიული, საბჭოთა ორგანოების ყურადღების ცენტრში უნდა იყოს. ამასთან ისიც უნდა ითქვას, რომ ექიმს ადამიანებისადმი გულისხმიერებას რომ ვთხოვთ, საჭიროა მათდამი ვიზრუნოთ ყურადღებას, მზრუნველობას და ვეხმარებოდეთ მუშაობასა და ცხოვრებაში. კურორტებზე სერიოზულ გაუმჯობესებას საჭიროებს სამკურნალო, საზოგადოებრივი კვების ობიექტების საქმიანობა, ჩამოსულთა დასვენების, გართობის ორგანიზაცია, ექსკურსიების მოწყობა, კინოფილმების ჩვენება, კონცერტების გამართვა, კულტმასობრივი მუშაობა.

საკურორტო სერვისი თანამედროვე მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს. მართალია, საქართველოში ყოველწლიურად ჩამოსულ დასასვენებელთა რიცხვი აღემატება მისი მოსახლეობის რაოდენობას, მაგრამ სახელმწიფო ყველა ღონეს მიმართავს იმისათვის, რომ ვაჭრობა და საყოფაცხოვრებო მომსახურება წარმატებით ართმევდეს თავს დაკისრებულ უფლებას. ამიტომ უნდა ვეცადოთ დავაკმაყოფილოთ საკურორტო ხაქონელზე დამსვენებელთა მოთხოვნა, თავიანთი ვალდებულებები უნდა შეასრულონ სურსათისა და სარეწველო საქონლის მიმწოდებლებმა. ამ საქმეში შეფერხება პარტიული და საბჭოთა ორგანოების ოპერატიული მსჯელობის საგანი უნდა გახდეს და საკადრისად უნდა მიეზღას ყველას, ვინც არ ასრულებს დაკვეთებს, ნაკისრ ვალდებულებებს. განსაკუთრებული მზრუნველობა და ყურადღება სჭირდება საზოგადოებრივი კვების ობიექტების გამართულ შუამავლობას, მათ მომარაგებას, საჭირო პროდუქტებით უზრუნველყოფას. რა დასამალია, რომ ამ ობიექტების შუამავლობა არ შეესაბამება მოთხოვნებს. ამას ისიც ემატება, რომ ხშირად დაბალია მომსახურების დონე, კერძების ხარისხი, ღარიბია ასორტიმენტი. მისაბაძია და ფართოდ უნდა დაინერგოს გაგრის მაგალითი, სადაც სეზონის დღეებში ჩვეულებრივი სასადილოების შუამავლის რეჟიმზე გადაპყავთ რესტორნები, ქმნიან უალკოჰოლო ზონას, ყოველნაირად ცდილობენ დაამკვიდრონ ფხიზელი ცხოვრების პირობები. ვაჭრობასა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საქმეში ბევრი რამ აქვთ მოსაგვარებელი და გასაკეთებელი ქობულეთის, ოჩამჩირის, ხაირმის, ბორჯომისა და მთელ რიგ საკავშირო თუ ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტებს. ვერ იქნა და ყველგან ვერ მოვვარდა მატარებლებისა და თვითმფრინავების ბილეთებით დამსვენებლების უზრუნველყოფა. ამ მხრივ მეტი მოქნილობა და ზრუნვა სჭირდებათ სამოქალაქო ავიაციის, რკინიგზის სამმართველოებს, სხვა ორგანიზაციათა და უწყებათა ხელმძღვანელებს.

გაზაფხულის ამ დარჩენილ დროში და მთელ ზაფხულში დიდი პასუხსაგები საქმეა მუშაობის შესრულება მართებს „საქკურორტსაბჭოს“, „საქკურორტის“, „საქკოლჯანმრთელობის“, ცეკავშირის სათანადო სამსახურების ხელმძღვანელობას. ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ ჩვენს ხალხს კარგი მკურნალობისა და დასვენების პირობები შევუქმნათ. აუცილებელია მკვეთრად აკიაღლოთ შუამავლის კულტურა, განვამტკიცოთ საზოგადოებრივი წესრიგი და დისციპლინა. დასამალი როდია, რომ ამ მხრივ ჩვენს კურორტებზე ყველაფერი რიგზე ნამდვილად არ არის. მთელი ძალით, საშუალებით, საზოგადოებრივობის დასმარებით უნდა ვებრძოლოთ უხეშობას, ხულიგნობას, ჩამოსულებისადმი უკადრესი დამოკიდებულებას. ყველა პრობლემის გადაწყვეტაში, საჭირბოროტო საკითხების მოგვარებაში უნდა გამოვიყენოთ საბჭოების დეპუტატები, სახალხო კონტროლიორები, რაზმელები, სარკვეზიო-საკონტროლო აპარატების მუშაკები. საქმის წარმატებაში მთავარი და გადამწყვეტი ის არის, რომ დაკისრებულ მოვალეობას მივუდგეთ დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით. ყველა რგოლსა და უბანზე მოშუშავენი მთელი გულით, მონდომებით უნდა აკეთებდნენ იმას, რაც მათ ევალებათ, რასაც მათგან დასვენებელთა ინტერესები მოითხოვს. მოკლედ რომ ვთქვათ, ყველაფერი უნდა ვიღონოთ საშემსრულებლო დისციპლინის განუხრელი დაცვისათვის. ცხადია, ამ საქმეში აქტიურად უნდა იმოქმედონ და გადამწყვეტი სიტყვა თქვან კომუნისტებმა და კომკავშირელებმა, პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა. ისინი წამყვან და მთავარ პოზიციებზე უნდა იდგნენ და მათ თვალსა და ყურს არც ერთი ნვრილმანი არ უნდა გამორჩეს.

დამსვენებელთა მომსახურებაში არ არსებობს წვრილმანი და მეორეხარისხოვანი საქმე. ყველაფერი მთავარი და მნიშვნელოვანია. ყურადღება, გულისხმიერება არ უნდა მოვაკლოთ საკურორტო ცხოვრების არც ერთ უბანსა და რგოლს. დავამყაროთ მტკიცე დისციპლინა, ნესრიგი და ნესიერება ყველაფერში, რაც ჩვენი მშრომელი ადამიანების მკურნალობასა და დასვენებას შეუწყობს ხელს.

ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲐ�პᲐᲠᲐᲢᲘᲡ“ საწარმოო გაერთიანების ელექტრული აპარატების და ამძრავების განყოფილებასთან არსებულ საექსპერიმენტო უბანზე აითვისეს ახალი პროდუქცია, რომელსაც ფართოდ გამოიყენებენ საფეიქრო მრეწველობაში. წლეულს აქ დაამზადებენ სამი ათას ახალ სპეციალურ ხუთკუთხედით აღნიშნულ ამძრავს. გარდა ამისა გაერთიანების საწარმოებში სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მიმდინარეობს საწარმოების ტექნიკური განახლება. მონტაჟდება თანამედროვე ჩარხები, კონვეიერები, ავტომატური ხაზები, სხვა მოწყობილობა. ყველაფერი ეს კეთდება წარმოების მოცულობის ზრდისათვის და პროდუქციის ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესებისათვის.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: უკონტაქტო ელექტრული აპარატების განყოფილების გამგის მოადგილე პ. ლუტიძე (მარცხნივ) და მოწინავე მემონტაჟეები მ. არახამია და მ. აკოფაშვილი ამოწმებენ მზა პროდუქციას.

Ლ. ᲙᲘᲚᲐᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲒᲐᲕᲐᲫᲚᲘᲔᲠᲝᲗ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲔᲥᲡᲞᲝᲠᲢᲝ ᲞᲝᲢᲔᲜᲪᲘᲐᲚᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ გაიმართა რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომელმაც განიხილა სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად საქართველოს სს რესპუბლიკის საგარეოეკონომიკური ურთიერთობის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის ამოცანები. კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების, პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების, მთელი რიგი საწარმოების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელები, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები.

აქტივის კრება გახსნა და დასასრულ საბოლოო სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა.

მოხსენება გააკეთა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ო. ე. ჩერქეზიამ.

აქტივის კრებაზე გამოვიდა სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის პირველი მოადგილე ნ. დ. კომაროვი.

საგარეო ვაჭრობას, ხაზგასმით აღინიშნა აქტივის კრებაზე, საგრძნობი და სულ უფრო მზარდი წვლილი შეაქვს საბჭოთა ეკონომიკის განვითარებაში. დღეს არ არის პრაქტიკულად არც ერთი დარგი, მოქცეული რომ არ იყოს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის სფეროში. მაგრამ დღეს უკვე შეუძლებელია ტრადიციული გზებით წინსვლა. საჭიროა მტკიცედ დავუსახოთ სამინისტროებსა და უწყებებს, გაერთიანებებსა და საწარმოებს მიზნად, რომ მაქსიმალურად გაზარდონ საექსპორტო პოტენციალი: გაუმჯობესონ საბჭოთა ნაწარმის ხარისხი და გააძლიერონ მისი კონკურენტუნარიანობა.

ამავე დროს უმკაცრესი სახელმწიფო წესრიგი უნდა დამყარდეს სავალუტო სახსრების ხარჯვაში. სიმპორტო პოლიტიკა მოწოდებულია, უწინარეს ყოვლისა, აქტიურად უწყობდეს ხელს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, საზოგადოების უმნიშვნელოვანესი სოციალური პრობლემების გადაჭრას.

რესპუბლიკის ეკონომიკის საექსპორტო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი პრობლემებისადმი მიძღვნილი მწვავე, პრინციპული სჯა-ბაასის, გულახდილი აზრთა გაზიარების განწყობა განსაზღვრა აქტივის კრების მუშაობის საქმიანმა, კონკრეტულმა ტონმა, მისი მონაწილეების შემართებამ ეძიონ მუშაობის ახალი, პროგრესული ფორმები და მეთოდები. რაკი ძველი, ექსტენსიური განვითარების პირობებში ჩამოყალიბებული ჩვეული ფორმები, როგორც სკკპ XXVII ყრილობაზე აღინიშნა, ვეღარ უზრუნველყოფს საზღვარგარეთის სახელმწიფოებთან თანამშრომლობის დინამიკურ ზრდას, უნდა ვეძებოთ ახალი გზები, დავამყაროთ საწარმოებისა და დარგების უშუალო თანამოქმედება, განვავითაროთ პირდაპირი სამეურნეო ურთიერთობა, წავახალისოთ ერთობლივი კვლევა, მთელი ძალ-ღონე მოვახმაროთ საკვანძო საკითხებსა და მიმართულებებს, აღინიშნა მოხსენებაში.

ამ მხრივ, ხაზი გაუსვა მომხსენებელმა, რესპუბლიკაში გარკვეული მუშაობა წარმოებს. მაგალითად, საქართველო ჩვენს ქვეყანაში ერთადერთი მოკავშირე რესპუბლიკაა, რომელსაც პირდაპირი კონტაქტები აქვს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკასთან. სამედო პარტნიორული ურთიერთობა მყარდება ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ზოგიერთ სხვა სახელმწიფოსთან. ისინი მხოლოდ პირველი ყლორტებია ინტეგრაციის ახალი ფორმებისა და ამიტომ ყოველნაირად უნდა განვავითაროთ, რადგან მომავალი მათ ეკუთვნით.

გადაჭარბებით გაანადგა საექსპორტო მიწოდების შარშანდელი დაკალებანი საქართველოს 16-მა საწარმომ. საგარეო-საავჭრო ბალანსის საგრძნობი ზრდა შეიმჩნეოა თბილისის ელმავალსაშენებელ ქარხანაში, სადაც პროდუქციის გაგზავნა საზღვარგარეთ გაიზარდა 20 პროცენტით, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის „მონონა“ და ქარხანა — 70 პროცენტით, საწარმო გაერთიანება „ელექტროაპარატში“ — ერთისამად.

ამჟამად საქართველოში პირდაპირი ხელშეკრულებებით მოქმედებენ მთელი რიგი კოლექტივები. ისინი იძენენ იმ ძალისხმევის გაერთიანების საგულისხმო გამოცდილებას, რომლის მეოხებითაც გადაიქცა დამკვიდრებული.

ᲙᲝᲜᲢᲐᲥᲢᲔᲑᲘ — ᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲣᲚ ᲙᲝᲜᲢᲠᲐᲥᲢᲔᲑᲐᲓ

ᲙᲘᲠᲣᲗᲕᲜᲔᲚᲘ სტატისტიკა მოწმობს, რომ ნიადაგ იზრდება ქვეყნის საექსპორტო შესაძლებლობანი. განვლილ ხუთწლედში დაფიქსირებულია სოციალისტურ ქვეყნებთან საქონელგაცვლის ზრდა 35-70 პროცენტის ოდენობით, რომელთაგან აბსოლუტური ციფრებით ათობით მილიარდი მანეთი შეადგინა, თქვა კრებაზე გამოსულისას ნ. დ. კომაროვმა. მთლიანად კი სახელმწიფოს საგარეოსავაჭრო ბრუნვა ერთ-ნახევარჯერ გაიზარდა. სსრ კავშირის პარტნორია 145 ქვეყანა. იმისათვის, რომ თვალნათლივ წარმოვიდგინოთ მათთან ეკონომიკური ურთიერთობის მასშტაბი, საკმარისია ითქვას, რომ საბჭოთა კავშირში ყოველდღიურად შემოდის და საბჭოეთიდან იგზავნება ასეულ მილიონობით მანეთის საქონელი.

გარკვეული წვლილი შეაქვს საერთაშორისო თანამშრომლობაში საქართველოსაც. რესპუბლიკა, რომელიც ოდესღაც საზღვარგარეთ გზავნიდა ტყავეულს, სამკურნალოშამლო ბალახსა და ხალხური სარეწების ნახელავს, ამჟამად 80 სახელმწიფოს ექსპორტით აწვდის 180 სახელწოდების პროდუქციას: ელექტროძრავებსა და ჩარხებს, ლოკომოტივებსა და ელექტრონულ სქემებს, ინსტრუმენტსა და ავტომატურ ამმართველებს, ხელსაწყოებსა და ფოლადის მილებს, ნავთობსა და მანგანუმს.

საანგარიშგებო მონაცემები გვიჩვენებს, რომ მოლიანად საბჭოთა საქართველოს საექსპორტო კომპლექსმა, რომელიც 187 ინდუსტრიულ და აგროსამრეწველო საწარმო-ორგანიზაციას ერთებს, რიგიანად გაართვა თავი საგეგმო დავალებებს. მაგალითად მარტო შარშან საქსპორტო პროგრამა 105,6 პროცენტით შესრულდა.

წარმატება მნიშვნელოვანწილად განაპირობა პირდაპირმა ურთიერთობამ უცხოელ პარტნორებთან.

— კამოლ-მაუდის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს“ მაგალითით, — თქვა საქართველოს საავჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. დ. ახვლედიანმა, — შეგვიძლია დამაჯერებლად ცხადყოთ ამგვარი თანამშრომლობის დიდი ეფექტიანობა. უნგრელი სპეციალისტები ამჟამად ამუშავებენ საწარმოს განახლების ტექნიკურ და კომერციულ წინადადებებს. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და დანიის ზოგიერთმა ფირმამ გამოთქვა სურვილი შეისყიდონ ცალკეულ სახეობათა ქსოვილები უშუალოდ კომბინატისაგან, ხოლო დასავლეთ გერმანიის ფირმებმა შემოგვთავაზეს თავიანთი სამსახური კოპერაციულ საფუძველზე წარმოების მოდერნიზაციისათვის.

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲛᲔ-2 ᲒᲕ.)

ᲓᲐᲩᲥᲐᲠᲔᲑᲐ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲓᲔᲕᲘᲖᲘᲐ

ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲢᲔᲛᲞᲘ ᲓᲐᲪᲕᲘᲗ ᲓᲐᲪᲕᲘᲗ

ᲙᲚᲘᲔᲠᲓᲔᲑᲐ

ᲗᲔᲠᲯᲝᲚᲐ (საკ. კორ.). რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელები წლეულს განსაკუთრებული შრომითი აქტიურობით გამოირჩევიან. მათ რძის წარმოების იანვარ-აპრილის საგეგმო დავალება 119,1 პროცენტით, ხოლო სახელმწიფოსთვის ხორცის მიყიდვისა 109 პროცენტით შეასრულეს.

საზოგადოებრივი მეურნეობების 1922 ჰექტარ ზვრებში აგროტექნიკურ ვადებში შესრულდა საგაზაფხულო სამუშაოები. ვენახების რესპუბლიკური დათვალიერების შემდეგ აღინიშნა, რომ ხარისხიანად არის შესრულებული ნიადაგის ღრმად დამუშავება, შეტანილია საკმაო ფოსფორიანი და კალიუმიანი სასუქები, რიგთაშორის კულტივაცია დამთავრდა 1500 ჰექტარზე, მიმდინარეობს მწკრივთაშორის პირველი თოხნა. აგროვადებში შესრულდა აგრეთვე ყველა საგაზაფხულო სამუშაო ჩაის პლანტაციებში. დაიწყო ჩაის ფოთლის კრეფა.

სიმინდი დათესილია 2.183 ჰექტარზე, სოია — 310,7 ჰექტარზე, მრავალწლოვანი ბალახები — 10 ჰექტარზე, ერთწლოვანი ბალახები — 847,4 ჰექტარზე, ბოსტნეული — 646,5 ჰექტარზე. ინდუსტრიული მეთოდით წელს სიმინდის კულტურა დაითესა 500 ჰექტარზე.

რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელები წარმატებებს აღწევენ შრომის სწორი ორგანიზაციით, მეცნიერების მიღწევების წარმოებაში დანერგვით.

ᲑᲝᲡᲢᲐᲜᲘ...

ᲑᲘᲜᲐᲨᲘ

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ყოველ მცხოვრებს შეუძლია ადვილად შექმნას თავის ბინაში ბოსტანი. მათ ამის საშუალებას აძლევს რესპუბლიკის სახაგრომრეწვის გაერთიანება „საქსათბური“. გასაყიდად გამოვიდა პირველი მინი-ბოსტნები. პლასტმასის ყუთში სასუქით გამდიდრებულ ერთ კვადრატულ მეტრ მიწაზე შეგვიძლია დავრგათ მწვანილი და სათანადო მოვლით მოსავალი მთელი წლის მანძილზე მოვიწიოთ.

მინი-ბოსტანი ტრანსპორტაბელურია. ზამთრობით იგი შეგვიძლია სამზარეულოში მოვათავსოთ, ზაფხულობით კი აივანზე, გაერთიანებაში მსურველებს შეუძლიათ შეიძინონ ჩითილები და თესლი.

„ᲡᲐᲩᲘᲜᲝ“ ᲡᲘᲛᲞᲐᲗᲘᲐᲡ

ᲘᲮᲕᲔᲭᲡ

ᲕᲐᲜᲘᲡ რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების სახსრებით აშენდა ფაბრიკა, რომელიც რაიონის ჩაის მწარმოებელ მეურნეობებს ყოველდღიურად 300 ათას მანეთი [illegible] ფაბრიკა დღითი დღე იკრებს ფალას. აქ დამონტაჟებულია ავტომატური ნაკადური ხაზი, [illegible]ლის სიმძლავრე ცალში სამი ათას ბოთლ სასმელ „საჩინოს“ უდრის. ᲐᲛ სასმელის პირველი პარტია, რომელიც დამზადებულია ჩაისა და კენკრის ნაყენისაგან, უკვე გაეგზავნა საავჭრო ქსელს, აგრეთვე ქობულეთის, წყალტუბოს, მაიაკოვსკისა და სხვა რაიონების სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებს. „საჩინო“ მოსწონს მომხმარებელს.

ᲤᲔᲠᲛᲐ ᲤᲘᲩᲝᲠᲘᲡ

ᲜᲐᲞᲘᲠᲖᲔ

ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘ. (საკ. კორ.). პალიასტომის ტბის ახლოს — მდინარე ფიჩორის ნაპირზეა სოფელ ჩიბათის კოლმეურნეობის მეძროხეობის კომპლექსი, რომელიც აღჭურვილია უახლესი ტექნიკით.

ჩიბათელები სანიმუშოდ უვლიან პირუტყვს, წლითიწლობით ზრდიან პროდუქტიულობას. შარშანდელთან შედარებით წელს განვლილ პერიოდში 12 ტონით მეტი რძე და 11 ტონით მეტი ხორცი მიჰყიდეს სახელმწიფოს.

ფერმის პროდუქციის მატებას განსაკუთრებით უწყობენ ხელს მწველავები კ. მგელაძე, მ. დეალიშვილი.

პირუტყვის პროდუქტიულობის ზრდაზე დადებითი გავლენა იქონია იმან, რომ ჩიბათში ფერმას საკუთარი წყრმოების საკვებით აკმაყოფილებენ. ამით ᲨᲘᲜᲨᲕᲔᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ [illegible] ᲓᲦᲘᲗᲘ ᲓᲦᲔ ᲘᲙᲠᲔᲑᲓᲐ [illegible] ᲡᲐᲚᲐᲡ. აქ დამონტაჟებულია ავტომატური ნაკადური ხაზი, [illegible]ლის სიმძლავრე ცალში სამი ათას ბოთლ სასმელ „საჩინოს“ უდრის. ᲐᲛ სასმელის პირველი პარტია, რომელიც დამზადებულია ჩაისა და კენკრის ნაყენისაგან, უკვე გაეგზავნა საავჭრო ქსელს, აგრეთვე ქობულეთის, წყალტუბოს, მაიაკოვსკისა და სხვა რაიონების სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებს. „საჩინო“ მოსწონს მომხმარებელს.

ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲠᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ

ᲬᲕᲔᲚᲐᲓᲦᲝᲑᲐ მეტი იქნებოდა, შეფერხებები რომ არ ხდებოდეს ელექტროენერგიის მოწოდებაში. ამ მიზეზით ცდება საკვების საამქროები, მექანიზმები“. ამას ჩიოდნენ განვლილ ზამთარში თეთრწყაროელი მეცხოველეები. სოფლის ელექტრული ქსელების ხშირი ავარიული და დაუგეგმავი გამორთვა დიდ ზარალს აყენებდა სასოფლო-სამეურნეო წარმოებას.

ახლა რაიონის სოფლის მეურნეობის საწარმოთა მოწყობილობის ენერგეტიკულ მომსახურებას ეწევა ამ შექმნილი „სოფლენერგოს“ სამეურნეობათაშორისო საწარმო-საექსპლოატაციო საწარმო, რომელიც რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებაში შევიდა. აგროსამრეწველო კომპლექსში ახალი პარტნიორი მთლიანად აგებს პასუხს სოფლის ენერგეტიკული მეურნეობის გამართული მუშაობისათვის, დარგის საწარმოებისა და დაწესებულებების შეუფერხებელი, ხარისხიანი და ეკონომიური ენერგომომარაგებისათვის.

ახალი სამსახურის ეფექტიანობა თვალსაჩინოა. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ენერგეტიკული მოწყობილობის ტექნიკური მდგომარეობა, გაიზარდა მისი მუშაობის საიმედოობა, შემცირდა ელექტროძრავების მწყობრიდან გამოსვლისა და ტექნიკური საშუალებების მოცდენის შემთხვევები.

ახლა ასეთი ენერგეტიკული სამსახურები 18 რაიონში მოქმედებენ, მაგრამ მალე მათ ყველგან შექმნიან. საერთო ხელმძღვანელობას გასწევს „საქაგრომრეწველენერგოს“ ელექტრიფიკაციის, ენერგეტიკისა და გაზიფიკაციის რესპუბლიკური საწარმოო-საექსპლოატაციო გაერთიანება, რომლის ჩამოყალიბებაც წელს დამთავრდება.

— სოფლად ერთიანი ენერგეტიკული სამსახურის შექმნის აუცილებლობა ცხოვრებით არის ნაკარნახევი, — თქვა საქართველოს სახაგრომრეწვის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსის პირველმა მოადგილემ ვ. კაზახაშვილმა. — სასოფლო-სამეურნეო წარმოების სამრეწველო რელსებზე გადაყვანის შედეგად ელექტროტექნიკური მოწყობილობით კომპეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების აღჭურვა ისეთ დონემდე გაიზარდა, რომ მათი ექსპლოატაცია უკვე შეუძლებელი გახდება, თუ არ შეიქმნა სათანადოდ ორგანიზებული სპეციალური სამსახური. მაგალითად, რესპუბლიკაში მეთერმეტე ხუთწლედის დამლევისათვის სოფლის მეურნეობაში ელექტრობის მოხმარება 1981 წელთან შედარებით ერთ-ნახევარჯერ გაიზარდა. აშენდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ახალი ელექტროგადამცემი ხაზები და ქვესადგურები. ელექტროენერგია მიიღეს მრავალი რაიონის მაღალი მთის სოფლებმა. ხუთწლედის მანძილზე ელექტრიფიცირებულია თერმეტი ათასი ჰექტარი ჩაის პლანტაციები. დიდი მეცხოველეობისა და ძეფრინველეობის კომპლექსების, მელიორაციის ობიექტების ელექტრომომარაგებისათვის აშენებულია ქვესადგურები უდაბნოში, კინდღში, კლეკერასა და სხვა სოფლებში. ამ წლებში საექსპლოატაციოდ გადაეცა 500 კილომეტრი მაღალი ძაბვის სასოფლო ელექტროგადამცემი ხაზები.

ახალ ხუთწლედში ენერგეტიკული რესურსებით სოფლის მეურნეობის უზრუნველყოფა გრძელდება. 1990 წელს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ელექტროენერგიის მოხმარება 1985 წლის დონესთან შედარებით თითქმის ორჯერ გაიზრდება.

(ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ჩარხსაშენებელი გაერთიანების ამწყობ ზეინკალთა კომპლექსურმა ბრიგადამ, რომელსაც რ. ორაგველიძე ხელმძღვანელობს, დღეს მთელი თავისი დღიური გამონამუშევარი გადარიცხა ჩერნობილელთა დახმარების ფონდში.

საწარმოს მშრომელები აჩქარებენ უკრაინის ფაბრიკა-ქარხნების შეკვეთების შესრულების ვადებს. მაგალითად, ვადამდე არის აწყობილი და სულ მალე გიგზავნება კიევის საცდელ-საჩვენებელ საოდუტკორო ქარხანას სახარატო-ხრახნსაჭრელი ჩარხი. ამის შემდეგ უკრაინის დედაქალაქში გაიგზავნება სპეციალური მილსაჭრელი ჩარხიც.

№ 191016 ანგარიში რესპუბლიკის ბევრმა შრომითმა კოლექტივმა იცის. ეს არის სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადო

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

12 მაისს გაიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სხდომა, რომელზეც განიხილეს სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლების სახელმწიფო გეგმის პროექტი.

სხდომაზე აღინიშნა, რომ ხუთწლიანი გეგმის პროექტი შემუშავებულია სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებების, პარტიის ყრილობისადმი ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენების დებულებებისა და სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის პარტიის მიერ შემუშავებული გენერალური გეზის პრაქტიკული რეალიზაციის მიზნით პროექტით გათვალისწინებულია დავალებანი და ღონისძიებანი, რათა მეთორმეტე ხუთწლედში განხორციელდეს ძირეული გარდატეხა სამეურნეო საქმიანობის ყველა მიმართულებით, გადავიდეს სახალხო შეურნეობა ინტენსიური განვითარების გზაზე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მეოხებით, უზრუნველყოფილ იქნეს საბჭოთა ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის განუხრელი ზრდა, განმტკიცდეს სახელმწიფოს ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერება.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ძირითადად მოიწონა ხუთწლიანი გეგმის პროექტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმს დაავალა განიხილოს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეთა, სსრ კავშირის მინისტრთა და უწყებების ხელმძღვანელთა მონაწილეობით გეგმის საპროექტო მონაცემები მოკავშირე რესპუბლიკების, სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების მიხედვით, ამასთან გაითვალისწინონ საგეგმო მაჩვენებლების დადგენა, როგორც წესი, ძირითადი მიმართულებებით გათვალისწინებული დავალებების ზედა ზღვრის დონეზე, გაუმჯობესონ გეგმის განყოფილებათა შეთანასწორება, უზრუნველყონ დავალებების უფრო თანაბარზომიერი განაწილება ხუთწლედის წლების მიხედვით.

სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების უურადღება მიეპყრო იმაზე, რომ საჭიროა ყოველნაირად აამაღლონ წარმოების ტექნიკური დონე, დაჩქარებით აითვისონ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები, სრულად გამოიყენონ არსებული საწარმოო პოტენციალი, რისთვისაც, კერძოდ, გაზარდონ მოწყობილობის ცვლაანობის კოეფიციენტი, გააძლიერონ მომჭირნეობის და სობობის, ენერგიის, მასალა-ნედლეულის რაციონალური ხარჯვის რეჟიმი, ყველგან გადავიდნენ მშენებლობის ფანხრიციელებაზე ზუსტად ნორმატიული ვადების შესაბამისად. დასახულია ამოცანა უზრუნველყონ, 1987 წლიდან დაწყებული, რომ ყველა გაერთიანება, საწარმო და ორგანიზაცია ასი პროცენტით ასრულებდნენ მომხმარებლებისათვის პროდუქციის მიწოდების სახელშეკრულო ვალდებულებებს. მათ მნიშვნელოვნად უნდა გააძლიერონ აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაობის ეფექტიანობა, გააფართოონ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება, გაუმჯობესონ მისი ხარისხი და ასორტიმენტი, გაზარდონ მოსახლეობისათვის გასაწევი ფასიანი მომსახურების მოცულობა. ხაზგასმით აღინიშნა, თუ რაოდენ საჭიროა გადიდდეს თითოეული მოკავშირე რესპუბლიკის, სსრ კავშირის ყოველი სამინისტროსა და უწყების წვლილი სოციალურ-კულტურული სფეროს დაჩქარებული განვითარების უზრუნველყოფაში.

როგორც სხდომაზე აღინიშნა, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მართვისა და სამეურნეო მექანიზმის დასახვეწად, მეურნეობრიობის ახალ მეთოდებზე ეკონომიკის ყველა დარგის გადასაყვანად მიმდინარე მუშაობის გაძლიერებას, გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა შრომითი კოლექტივების ინიციატივისა და აქტიურობის გადიდებას, დისციპლინისა და ორგანიზებულობის შემდგომ განმტკიცებას, კადრების მომზადება-გადამზადების ძირეულ გაუმჯობესებას თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით გათვალისწინებულია, ხუთწლიანი გეგმის პროექტი შეტანილ იქნეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად 1986 წლის მაისში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სხდომაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები ჰ. ა. ალიევი და ვ. ი. ვორონტნიკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი ნ. ვ. ტალზინი.

სხდომაზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ი. რიჟკოვი. (საკდინი).

ბავაძლიეროთ რესპუბლიკის საექსპორტო პოტენციალი

(დასასრული)

პარტიის ყრილობამ ამოცანად დასახა: ახალი მოთხოვნების შესაბამისად უნდა გარდაიმნან საგარეო-ეკონომიკური უფლებებიც. ისინი უფრო მჭიდროდ უნდა იყვნენ დაკავშირებული უწყება-სამინისტროებთან, ეძებდნენ მსოფლიო ბაზრის მოთხოვნებთან მათი ინტერესების შერწყმის ფორმებს, გამოდიოდნენ არა მარტო შუამავლებად, არამედ აგრეთვე სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტის აქტიურ მონაწილეებადაც. ამას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება დღეს, აღნიშნა თავის გამოსვლაში რესპუბლიკის სახაგრომრეწვის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **რ. ჰ. კონცელიძემ.** ხშირად ხომ ამა თუ იმ პროდუქციის მწარმოებლებმა არც საზღვარგარეთელ მყიდველთა ნიადაგ ცვალებადი მოთხოვნები იციან და ამასთანავე ძალზე უჭირთ პოტენციური პარტნიორების პოვნა, წვითა და დაგვით უხდებათ ისეთი თანამედროვე მოწყობილობის მოპოვება, რომელსაც შეუძლია გაუმჯობესოს როგორც თვით ნაწარმის, ისე მისი შეფუთვის, რეკლამის ხარისხი.

აღნიშნული პრობლემები ასე მწვავედ არ დგას ხოლმე, როდესაც საიმედო საზღვარგარეთელი პარტნიორები გვყავს.

— დღესდღეობით, — თქვა თავის გამოსვლაში საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ **ი. ს. ყორდანიამ,** — რესპუბლიკის ორმოცამდე სამეცნიერო ორგანიზაცია ეწევა ერთობლივ კვლევას კოლეგებთან — ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების, კაპიტალისტური სახელმწიფოებისა: ავსტრიის, ავსტრალიის, ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, საფრანგეთის, ფინეთის წარმომადგენელებთან ერთად. კვლევა ასზე მეტ პრობლემას მოიცავს.

განსაკუთრებით მიზანმიმართულად და ეფექტიანად მიმდინარეობს მუშაობა უნგრეთის ორგანიზაციებთან, რომლის ფირმებთანაც არა მარტო აქტიური თანამშრომლობა წარმოებს რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის განსახლებისათვის, არამედ აგრეთვე დადებულია კონტრაქტი „იკარუსების“ კორიზიამედეგობის გამოსაცდელად, მიმდინარეობს ინფორმაციის ინტენსიური გაზიარება ღვინის წარმოების ნარჩენების გამოსაყენებლად ეთილის სპირტის, ღვინის მჟავისა და ციანმჟავის, ბერლინის ლაჟვარდის დასამზადებლად.

როგორც ცნობილია, საექსპორტო პროდუქციის ნომენკლატურა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია იმისა, თუ რამდენად შეესაბამება ადგილობრივი ეკონომიკა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნებს. ნედლეულის ასპექტიდან მზა, ტექნიკურად რთულ პროდუქციაზე სიმძიმის ცენტრის გადატანა მოწმობს მწარმოებელი ქვეყნის ინდუსტრიისა და მეცნიერების განვითარების მაღალ დონეს. და შეკრებილთათვის სავსებით გასაგები იყო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის „მოონისა“ და ქარხნის პარტკომის მდივნის **ზ. ი. ბაბაევის** სიამაყე, რომელმაც თქვა, რომ იაპონელმა ბიზნესმენებმა, რომლებიც ცნობილი არიან თავიანთი „ელექტრონული პრესტიჟით“, მოისურვეს შეიძინონ თბილისური ინტეგრალური სქემები. სავსებით გასაგებია რესპუბლიკის ელექტროტექნიკური მრეწველობის მუშაკთა კმაყოფილებაც, რომლის უკონტაქტო კლავიშიანი გადამრთველების შესყიდვა სურთ ჩეხოსლოვაკიის ორგანიზაციებს...

მაგრამ, რა თქმა უნდა, საექსპორტო ურთიერთობის მაღალი ხარისხის საუკეთესო გამოვლინებაა სალიკენზიო მუშაობა. სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ პროგრესული მოწყობილობის ჩვეულებრივი შესყიდვის დროს შეიძლება შენი წარმოების ტექნიკური დონე საშუალოდ 1,5-2 წლით დაიწინაურო. თუ ტექნოლოგიასაც შეიძენ, მაშინ შესაძლებელია მთელი ხუთი წლით გაიჭრა წინ. ლიცენზიების შესყიდვა კი უზრუნველყოფს დაჩქარებას შვიდი-რვა წლით.

დღეს ორი აზრი არ არსებობს: საერთაშორისო შრომის განაწილების განუხორციელებლად ყველაზე დიდად განვითარებული ქვეყნებიც კი ვერ გაივლენ ფინს. მით უმეტეს ვერ მიაღწევ საწადელს, თუ არ გეკნა მუდმივმოქმედი „იდეათა ბაზარი“. უეჭველია, აქაური „საყიდლები“ უნდა შეესაბამებოდეს ამა თუ იმ ქვეყნის მიერ გადასაწყვეტ პრიორიტეტულ ამოცანებს და შეესატყვისებოდეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, სოციალური პოლიტიკის მოთხოვნილებებს.

აქტივის კრების მონაწილეებმა აღნიშნეს სასიხარულო ფაქტი: გასული წლის შედეგების მიხედვით საქართველომ რესპუბლიკაში შესრულებული ნამუშევრების ლიცენზიათა რეალიზაციის მხრივ მესამე ადგილი დაიკავა ქვეყანაში რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის შემდეგ. 1985 წელს საზღვარგარეთის ფირმებმა ჩვენში ორჯერ მეტი ლიცენზია შეისყიდეს, ვიდრე წინა ოთხი წლის მანძილზე. ამასთან, ნაკლები ყურადღება როდი უნდა დაეთმოს ლიცენზიების, მეტადრე ისეთების შესყიდვას, რომლებიც უაღრესად გვჭირდება და რომლებმაც შეიძლება უზრუნველყონ ამა თუ იმ დარგის განვითარების დიდი დინამიზმი. სწორედ ამ მოთხოვნებს დააკმაყოფილებს, კერძოდ, საქართველოსათვის კიდევაა ბაგირგზების ლიცენზია, რომელიც საფრანგეთის „მონტაჟ-მონტინოს“ ფირმისაგან შევიძინეთ.

წარმატებანი და მძიმეებიც აშკარაა. თქვეს აქტივის კრების მონაწილეებმა. მაგრამ მათს მნიშვნელობას სერიოზულად აკნინებს არსებული ხარვეზები და ნაკლოვანებანი. არცთუ იშვიათია შემთხვევები, როდესაც საგარეო-სავაჭრო პარტნიორები უარს ამბობენ განაახლონ კონტრაქტები რესპუბლიკის საწარმო-ორგანიზაციებთან და სავსებით საფუძვლიანად იმიზეზებენ მათი პროდუქციის ხარისხობრივ შეუსაბამობას კონკურენტთა ნაწარმთან. საექსპორტო მუშაობაში ასეთი არასტაბილურობის მიზეზები მრავლად შეგვიძლია დავასახელოთ. აქტივის კრებაზე განსაზღვრა მთავარი. ეს, კრების მონაწილეთა აზრით, არის წოდებული ობიექტურ პირობებს იმიზეზებენ, საწარმოები ამცირებენ, ანდა საერთოდ წყვეტენ საზღვარგარეთის ბაზრისათვის პროდუქციის გამოშვებას. დღესდღეობით არ უშვებენ საექსპორტო ნაწარმს საგარეო-სავაჭრო პარტნიორებისათვის ერთ დროს კარგად ცნობილი საწარმოები — ფოთის ჰიდრომექანიზაციის მანქანათსაშენებელი ქარხანა და წნორის მექანიკური ქარხანა.

— მთლიანად „ამოვარდა“ საექსპორტო სიიდან თბილისის „ელექტროიზოლიტისა“ და საიუველირო ქარხნების ნაკეთობანი, — თქვა აქტივის კრებაზე პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა **კ. ვ. კაპანაძემ,** — ხოლო ზოგიერთმა საწარმომ უკლო ასეთი პროდუქციის გამოშვებას.

ეს ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ბრალიც არის. საკმარისია ითქვას, რომ პარტიის არც საქალაქო და არც რაიონულმა კომიტეტებმა არ მოახდინეს ჯეროვანი რეაგირება საექსპორტო საქონლის წარმოების ამ საგანგებო ტენდენციაზე.

რა თქმა უნდა, კონვეიერზე მორალურად და ტექნიკურად მოძველებული ნაწარმის დაყენებისათვის პასუხი მოეთხოვებათ როგორც დამპროექტებლებს ისე კონსტრუქტორებს. მაგრამ არც წარმოების მუშაკებს ხსნის არავინ პასუხისმგებლობის — რად დათა, ნახმდნენ სიახლედ გაესალბინთ გუშინდელი დღის ნაწარმი? ამ პოზიციას ადგენ საწარმოო გაერთიანება „საქკვებმაქანის“ გენერალური დირექტორი **გ. ი. ცინცაძე** და სხვა მაოსული ამხანაგები. მაგრამ საეჭვოა, რომ ეს პოზიცია გაიზიარონ თბილისის ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელ ქარხანაში, სადაც ურიგდებიან, მაგალითად, იმას, რომ სახარატო-ხრახნსაჭრელი ჩარხის მოდელი, რომელმაც ათვისების გვარიანი პერიოდი გაიარა და ჯერაც არ დანერგილა, უკვე მოძველებულია...

თანამედროვე საქმიანი ურთიერთობა ფრიად რთული და მრავალფეროვანია. მისი განხორციელების ეფექტიანობა მოითხოვს განსაკუთრებულ თვისებებს: სიზუსტეს, მზადყოფნას ოპერატიულად გამოეხმაურო კონტრაგენტის მოთხოვნილებებს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში — სწრაფად დარაქმნა წარმოება. იმიტომ, რომ

პარტნიორობა სიტყვის და საქმის ერთიანობას

გულისხმობს

დღეს, ალბათ, არ მოიძებნება რესპუბლიკის მცხოვრები, რომელსაც გუდაურის სახელწოდება არ ჰქონდეს გაგონილი. ყველამ ვიცით, რომ იქ შენდება დიდი ტურისტულ-სპორტული კომპლექსი, რომელიც არ უნდა ჩამოუვარდებოდეს საუკეთესო მსოფლიო სტანდარტებს. ბევრს ისიც მოეხსენება, რომ გუდაურის კომპლექსის მშენებლობის სამუშაოებში ზოგიერთი უცხოური ფირმაც მონაწილეობს.

თითქოსდა, ცეკავშირს, მტკიცედ რომ მოითხოვდა, მთის რეგიონის ეს მშენებლობა ხის მეურვეობაში გადაეცათ და თავისას მიაღწია კიდეც, — მაქსიმალური ყურადღება და პასუხისმგებლობა უნდა გამოეჩინა ობიექტის მიმართ, რომლის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება მრავალ ათეულ მილიონ მანეთს შეადგენს, და ეხმარა ყველა ღონისძიება, რათა საგარეო-სავაჭრო პარტნიორებს მოეკიდათ ხელი ხელშეკრულებით დაკისრებული საქმის შესრულებისათვის. მაგრამ... საზღვარგარეთიდან ჩამოვიდნენ სპეციალისტები, მოვიღეთ მასალა, საჭირო მოწყობილობა, სამშენებლო მოედნები კი ჯერაც არ არის გამზადებული.

აქტივის კრების მონაწილეებმა ყოველივე ამისათვის კონკრეტული პასუხი მოსთხოვეს მშენებლობის კოორდინატორს — ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეს **ო. ვ. კოკინაძეს.** ბუნებრივია, იძულებული იყო ეღიარებინა დაშვებული ხარვეზები, მაგრამ მარტოოდენ მდგომარეობის დაუყოვნებლივ გამოსწორების დაპირება არ არის საკმარისი. საჭიროა განმტკიცო იგი კონკრეტული ორგანიზაციული ღონისძიებებით, ფსიქოლოგიურად განეწყო თავად და მოახმარო შენი ხელქვეითების საქმიანობა დაკისრებული საქმის შესრულებას.

პარტია სიტყვისა და საქმის ერთიანობას ხელმძღვანელი კომუნისტისადმი უმაღლესი მოთხოვნება — შეასრულე კიდეც! თუ ხელი მოჰკიდე ამა თუ იმ სამუშაოს, კეთილი ინებე და ბოლომდე მიიყვანე. სწორედ ამ პოზიციებიდან წაუყენეს სერიოზული პრეტენზიები რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის მინისტრის პირველ მოადგილეს **ბ. ნ. გრიგალაშვილს,** საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის მინისტრს **ნ. ნ. ნიფიდოვს** და ამ დარგის ადრინდელ ხელმძღვანელს, ამჟამად რესპუბლიკის საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრს **ნ. გ. ვაშაძეს.** მათდამი დაკვემდებარებულ საწარმო-ორგანიზაციებში დაგროვდა ასიათასობით მანეთის დაუდგმელი იმპორტული მოწყობილობა. ეს მოწყობილობა, რომელიც წლების მანძილზე აწყვია საწყობში, პრაქტიკულად ვერ ანაზღაურებს მასზე გაწეულ დანახარჯებს.

სკკპ-ბაასმა ამ თემაზე მწვავე ხასიათი მიიღო. აქტივის კრებაზე აღინიშნა, რომ ზოგიერთი სამეურნეო ხელმძღვანელი არ უშვებს ანგარიშს სახელმწიფო ინტერესებს და ცდილობს მაქსიმალურად დააკმაყოფილოს თავისი დარგებისა და საწარმოების მოთხოვნილება იმპორტის ხარჯზე, დაეინებით მოითხოვს ამ მიზნით სავალუტო სახსრების გამოყოფას.

იქ, სადაც თადარიგიანად მოქმედებენ კარგად მიუდგი საქმე. თუმცა დარგში ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებანი, მაგრამ საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქიმმრეწველის“ კოლექტივი სტაბილურად იმყოფება ლიდერ საწარმოთა შორის საექსპორტო მიწოდების მხრივ. ამის მეოხებით, კი, როგორც გენერალურმა დირექტორმა **ნ. შ. ცხაკაიამ** თქვა, მას შეუძლია შეიძინოს ახალი ტექნოლოგიური დანადგარები, ტრანსპორტი, რომელიც წარმოებაში სჭირდება.

აქტივის კრების მონაწილეებმა დიდი ყურადღება დაუთმეს გამოფენების საქმიანობას, რესპუბლიკის მონაწილეობას საერთაშორისო ბაზრობებში. ხალინინა, რომ აქ ჯერ კიდევ ყველაფერი როდია რიგზე. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ გამოფენაზე გამოდის არა სამინისტრო ან უწყება, არამედ ჩვენი ქვეყანა და ყველაფერი უნდა ექვემდებარებოდეს სახელმწიფო ინტერესებს. უნდა ვეცადოთ, რომ რესპუბლიკაში მოწყობილ გამოფენებზე ყოველი ექსპონატი ჩამოგვდიოდეს მიზნობრივი დანიშნულებით, რათა მისი შესყიდვის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მოვაქციოთ საქმეში, მივაღწიოთ ექსპლოატაციის მაქსიმალურ ეფექტიანობას და ამავე დროს ისე მოვიქცეთ, რომ საზღვარგარეთ გაგზავნილ ექსპონატთა უმრავლესობას ჰყავდეს შეძენის მსურველები.

თუ წინათ ჩვენ ვსჯერდებოდით „მორიგ“ მიდლესსა და სიგელებს, რომლებსაც უხვად არიგებენ ხოლმე საზღვარგარეთ ბაზრობათა უმთავრესად, მანქანები, რთული მოწყობილობა შეესაბამებოდეს ან აღემატებოდეს საუკეთესო მსოფლიო სტანდარტებს.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ოპტიმალურად შეეუხამოთ საქართველოს საწარმოთა ყოველდღიური საქმიანობა რესპუბლიკის საექსპორტო შესაძლებლობებს, მივაღწიოთ შრომითი კოლექტივების ინტერესებისა და საგარეო ბაზრის მოთხოვნების მჭიდრო ერთიანობას. და აქ გვმართებს მაქსიმალურად გავაძლიეროთ პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების, პირველადი პარტორგანიზაციების როლი და პასუხისმგებლობა. სწორედ მარჯვე პარტიულ ხელმძღვანელობაზეა დამოკიდებული სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნების უცილობელი შესრულება. აკი კომუნისტთა ფორუმზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა მივაღწიოთ ყველა იმ უწყება-ორგანიზაციის ზუსტ აწყობილ მუშაობას, რომლებიც პასუხს აგებენ საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის ამა თუ იმ სფეროსთვის.

ამიტომ, ხაზგასმით აღინიშნეს აქტივის კრების მონაწილეებმა, საჭიროა ყოველნაირად გავაძლიეროთ კომუნისტთა პირადი პასუხისმგებლობა ამ უმნიშვნელოვანესი საქმისათვის, მკაცრად მოვუწოდოთ წესრიგისათვის იმათ, ვინც უნიათოდ მუშაობს, ვერ შეუგნია, რომ სახელმწიფო მნიშვნელობა ენიჭება საექსპორტო პროდუქციის წარმოების სრულყოფის, ხარისხის გაუმჯობესების, იმპორტული მოწყობილობის ეფექტიანი გამოყენების ამოცანას. აქ ბრალეულთ უაღრესად მკაცრად უნდა მოვთხოვოთ პასუხი, მეტადრე იმ შემთხვევებში, როდესაც ეკონომიკის ზოგიერთი მეთაური არ იღებს დროულად ზომებს არსებულ სიძნელეთა დასაძლევად, არ ფიქრობს პერსპექტივაზე, არ იჩენს სიმტკიცეს, შემოქმედებითს, თაოსნურ მიდგომას საქმისადმი.

სამამულო პროდუქციის ექსპორტის გაფართოება პრესტიჟიული, უფრო მეტიც, მამულიშვილური საქმეა. საქართველო საგარეო ბაზარზე ღირსეულად უნდა წარმომადგენლობდეს საბჭოთა სახელმწიფოს, აქტიურად მონაწილეობდეს საერთაშორისო საქონელგაცვლაში, მეცნიერულ-ტექნიკურ და ეკონომიკურ თანამშრომლობაში, აღინიშნა რეზოლუციაში, რომელიც აქტივის კრების მონაწილეებმა მიიღეს.

სოციალისტურ ქვეყნებთან საქართველოს სამინისტროებისა და უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების საქმიანი, კომერციული პარტნიორობის შემდგომი განმტკიცება დასახულია უშუალოდ იმ კომპლექსური პროგრამის შესაბამისად, რომელიც მიღებულია 2000 წლამდე ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საკითხებზე. და სასიხარულოა, რომ რესპუბლიკა პირდაპირ ურთიერთობას ამყარებს საზღვარგარეთის სახელმწიფოებთან, რომ უკვე გადაიდგა პირველი სერიოზული ნაბიჯი, მაგრამ ორმხრივ ხელსაყრელი თანამშრომლობა უსათუოდ უნდა ასრულებდეს კიდევ ერთ მნიშვნელოვან როლს — გახდეს მოწინავე გამოცდილების, სამეურნეო საქმიანობის ორგანიზაციის, მეცნიერულ-საწარმოო კოოპერაციის თანამედროვე მეთოდების ნამდვილი სკოლა.

აქტივის კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად გამოთქვეს აზრი: საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის სრულყოფა მთლიანად და სავსებით არის დამოკიდებული თითოეული მუშაკის აქტიურ პოზიციაზე — იქნება ეს რიგითი მუშაკი თუ მინისტრი. აქ განსაკუთრებით გვმართებს მოქმედების ზუსტი შეთანხმება, მარჯვე ორიენტაცია დღის მოთხოვნების შესასრულებლად.

კომერციული მუშაობის სრულყოფა მიზნად უნდა ისახავდეს უახლეს მიღწევათა ერთობლივ ათვისებას, ფართო მასშტაბის კოოპერაციის განვითარებას სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, უზრუნველად თანამედროვე მანქანა-მოწყობილობის გამოსაშვებად. სწორედ ამ პოზიციებიდან უნდა წარმართავდნენ თავიანთ საქმიანობას, მათ შორის საგარეო-ეკონომიკურსაც, საგეგმო და სამეურნეო ორგანოები, სამინისტროები და უწყებები, უშუალოდ შრომითი კოლექტივები.

საგარეო ბაზრისათვის მუშაობა საპატიო და პასუხსაგებია, ხაზგასმით აღნიშნეს აქტივის კრების მონაწილეებმა. რესპუბლიკის მარკიანი ნაწარმი უნდა გახდეს მისი ნამდვილი დესპანი საზღვარგარეთ, ცხადყოფდეს საბჭოთა ეკონომიკაში მომხდარ ეფექტიან თვისებრივ ძვრებს.

(საკინფორმი).

სახალხო კონტროლორთა ახალი ჯერიზონტები

ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის სახალხო კონტროლის ორგანოებში დაიწყო საანგარიშო-საარჩევნო კამპანია. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა სკკპ XXVII ყრილობაზე ხაზგასმით აღნიშნა, რომ „...პარტია სახავს ამოცანას ავამოქმედოთ ყველა ინსტრუმენტი, რომლებიც თითოეულ მოქალაქეს მისცემენ რეალურ საშუალებას აქტიურად მიახდინონ გავლენა მმართველობითი გადაწყვეტილებების შემუშავებაზე. შეამოწმონ მათი შესრულება, მიიღონ საჭირო ინფორმაცია აპარატის საქმიანობის შესახებ. ამას უნდა დაექვემდებაროს შრომითი კოლექტივებისა და მოსახლეობის კრებების წინაშე მართვის ყველა ორგანოს რეგულარული ანგარიშების სისტემა. ბევრი რამ შეუძლიათ გააკეთონ აქ სახალხო კონტროლის კომიტეტებმა, ჯგუფებმა და საგუშაგოებმა...“

ანგარიშგება-არჩევნების მზადებისა და მოწყობის მთელ მსვლელობას ხელმძღვანელობენ პარტიული კომიტეტები. იგი არის მათი ყურადღებისა და ზრუნვის საგანი. ანგარიშგება-არჩევნები უნდა გამოვიყენოთ კონტროლის ორგანოების სტრუქტურის, სახალხო კონტროლიორთა თვისებრივი შემადგენლობის შემდგომი სრულყოფის, მეურნეობრიობის ყველა უბანზე ეფექტიანი, მასობრივი და საჯარო კონტროლის განვითარებისათვის.

საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის წარმატებული მოწყობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ შინაარსიანი იყოს კრებები და კონფერენციები. ისინი ხელს უნდა უწყობდნენ სახალხო კონტროლიორთა შეგნების, აქტიურობის გადიდებას. ამიტომ, უწინარეს ყოვლისა, უნდა უზრუნველყოთ კრებების. საქმიანი, დემოკრატიული ატმოსფერო, ტონი კი მათ უნდა მისცეს საანგარიშო მოხსენებამ.

მოხსენებაში ყალბი იდეალიზაციის გარეშე უნდა ვილაპარაკოთ გაწეული მუშაობის შესახებ, უნდა ვეხებოდეთ უმთავრესად მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებსა და ხარვეზებს, მათს მიზეზებს, ამ მიზეზების უსწრაფესად დაძლევის გზებს. არ უნდა დავუშვათ, რომ ბრტყელ-ბრტყელი სიტყვები ფარავდეს რეალურ პრაქტიკულ საქმეებს. ყოველი საანგარიშო მოხსენება კონკრეტული უნდა იყოს, გვეწმარებოდეს ვხედავდეთ და ღრმად ვიაზრებდეთ მეურნეობრიობის შედეგებს.

სამწუხაროდ, რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ცოტა როდია ისეთი ჯგუფი და საგუშაო, რომლებიც შეიძლება სუსტად მომუშავეთა რიცხვს მივაკუთვნოთ. 1983 წლის ანგარიშგება-არჩევნებზე არადამაკმაყოფილებლად იყო მიჩნეული სახალხო კონტროლის 378 ჯგუფის მუშაობა. მაგრამ, როგორც ჩანს, ასეთი შეფასებას ყველგან როდი მიმართავდნენ გადაჭრით და კატეგორიულად, ალბათ ეს კოლეგიებში უაღრესად გულმოწყალედ ეკიდებიან სახალხო კონტროლიორთა პასიურობას, ულგრილობას. სხვაგვარად როგორ შეიძლება იმის ახსნა, რომ ზოგიერთი კოლეგიები, ჯგუფი და საგუშაგო კრიტიკასაც არ ძრავს ცალკეული თანამდებობის პირების მიერ მშრომელთა თვალწინ ჩადენილი აღმაშფოთებელი ბორტოქმედებისა და დარღვევების ფაქტების გამო. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღძრა საკითხი იმის შესახებ, რომ კანონიერებისა და წესრიგის სადარაჯოზე მდგომ ყველა ორგანოს ეკისრება პასუხისმგებლობა „ოციალისტური ცხოვრების წესის ნორმებიდან უმცირესი გადახრებისათვის. იქნება ეს სამეურნეო, სოციალური-რი თუ კულტურული ხასიათისა. საბანაო. სახალხო კონტროლიორებს უწინარეს ყოვლისა განვითარებული უნდა ჰქონდეთ შრომითი კოლექტივების ცხოვრებაში მომხდარ მოვლენებთან წილნაყარობის ეს გრძნობა.

განსაკუთრებით უნდა შეეგებოთ კრებებსა და კონფერენციებზე კომიტეტების ჯგუფებისა და საგუშაგოების ანგარიშების აქტიურ განხილვას. მხოლოდ მაშინ, თუ მწვავედ, საქმიანად განვიხილავთ საწარმოებს, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობის საკითხებს, ამასთან, თვითკრიტიკულად შევაფასებთ სახალხო კონტროლის საგუშაგოებისა და ჯგუფების მუშაობას, კრებებსა და კონფერენციებზე შევძლებთ ვთქვათ ცოცხალი სიტყვა, დავასახელოთ კონკრეტული გვარები, ფაქტები, აღვნიშნოთ პრობლემები, რომელთა გადაჭრასაც კონტროლი უნდა დაუწესდეს.

საანგარიშო-საარჩევნო კამპანია სამ თვეს გასტანს. ამასთან დაკავშირებით დგება საკითხი, როგორ უნდა შეავდგინოთ გრაფიკები, თითოეულმა კომიტეტმა ეს საკითხი დამოუკიდებლად უნდა გადაწყვიტოს და შეათანხმოს იგი პარტიულ კომიტეტებთან. საანგარიშო-საარჩევნო კამპანიისათვის განკუთვნილი ვადა საშუალებას გვაძლევს მოვაწყოთ იგი ისე, რომ გავითვალისწინოთ ადგილობრივი პირობები, არ ავჩქარდეთ, უზრუნველვყოთ კრებებსა და კონფერენციებზე მშრომელთა მასობრივი მონაწილეობა წარმოებისათვის რაიმე ზარალის მიუყენებლად.

როგორც ცნობილია, ჯერ ეწყობა საგუშაგოების საანგარიშო და საარჩევნო კრებები, შემდეგ საამქროებისა და სხვა ქვეგანყოფების ჯგუფებისა. ამის შემდეგ იმართება სახალხო კონტროლის მეთაური ჯგუფებისა და საწარმოო კომიტეტების ანგარიშგება-არჩევნები. ეს პრინციპი აღსავლებად საფუძვლად უნდა ედოს გრაფიკს, რომლის გაანრებული შედგენა უზრუნველყოფს მის უოფონ შესრულებასაც. მეტად არასასურველია კრებების გადატანა. თითოეულ ასეთ ფაქტს პრინციპული შეფასება უნდა მივცეთ, კრებების ფორმალური, ნაჩქარევი მოწყობა კი სავსებით გამვრიცხოთ. ამისათვის რეკომენდებულია ვიზრუნოთ, რომ ხელმძღვანელი მუშაკები მაქსიმალურად მონაწილეობდნენ არა მარტო მეთაური ჯგუფების ანგარიშგება-არჩევნებში, არამედ კრებების მუშაობაშიც, სადაც ანგარიშს აბარებენ სახალხო კონტროლის საამქრო ჯგუფები და საგუშაგოები.

სახალხო კონტროლის საზოგადოებრივი რგოლის განმტკიცება უწინარეს ყოვლისა დაკავშირებული იმასთან, რომ მისი ორგანიზაციული აგებულება შეესაბამებოდეს პირველადი პარტიული ორგანიზაციების სტრუქტურას. ჯგუფებისა და საგუშაგოების განაწილება შეეფუსტყვისოთ სახალხო-სამეურნეო სტრუქტურას, მოვიცავთ კონტროლით საწარმოო და სოციალური საქმიანობის ყველა სფერო. ხშირად ხდება, რომ ქალაქში ან რაიონში ჩნდება ახალი ორგანიზაციები, ხდება სხვა ორგანიზაციების რეორგანიზაცია, კომიტეტებში კი არ ახორციელებენ სახალხო კონტროლის ორგანოების სტრუქტურის გარდაქმნის ღონისძიებებს,

წინა არჩევნების შედეგად მთლიანად განმტკიცდა ჯგუფებისა და საგუშაგოების პარტიული ბირთვი, ფართოა კომკავშრეული ფენა, სახალხო კონტროლიორთა უმრავლესობას შეადგენენ მუშები და კოლმეურნეები, მეთაური ჯგუფების თავმჯდომარეთა 96 პროცენტს — პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების მოადგილეები, პარტბიუროების და პარტკომების წევრები. ამასთან მთავარი უნდა იყოს ადამიანის საქმიანი და მოქალაქეობრივი თვისებები, მისი პროფესიული და ზნეობრივი სახე. ამიტომაც ჯგუფებისა და საგუშაგოების ხელმძღვანელთა კანდი

საქართველოს სსრ
უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმში

სოფლის ყრილობა მსჯელობს

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა რესპუბლიკაში სოფლის ყრილობათა მოწყობის შედეგები.

აღინიშნა, რომ მიმდინარე წლის იანვარ-მარტში რესპუბლიკის დაბებსა და სოფლებში გაიმართა მოქალაქეთა კრებები და ყრილობები დევიზით: „ვამრავლოთ მშობლიური სოფლის კეთილი ტრადიციები — ყველასა და თითოეულის ღირსების საქმეა!". კრებებს ესწრებოდა თითქმის 400 ათასი კაცი, გამოვიდა 12 ათასზე მეტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს, სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს იხელმძღვანელონ საზოგადოების შემდგომი დემოკრატიზაციის, ხალხის სოციალისტური თვითმმართველობის გაღრმავების შესახებ სკკპ XXVII ყრილობის მითითებებით და უფრო ეფექტიანად გამოიყენონ მოქალაქეთა კრებები და სოფლის ყრილობები როგორც დემოკრატიის განვითარების ერთ-ერთი საამქრო არხი.

საქართველოს კორესპონდენტმა სთხოვა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანს თ. ვ. ლაშარაშვილს განმარტა პრეზიდიუმის დადგენილება.

— სოფლის ყრილობის გამართვა რესპუბლიკაში ტრადიციად იქცა. ეს არის საარსებოდ მნიშვნელოვანი პრობლემების განხილვასა და გადაჭრაში მშრომელთა მონაწილეობის ერთ-ერთი ყველაზე მასობრივი და დემოკრატიული ფორმა.

ამჯერადაც მასობრივი ყრილობების სამაბი გახდა შარშან ზაფხულში მომხდარი ფაქტი, რომელმაც რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის გულისტკივილმა და აღშფოთება გამოიწვია, როცა ხუთმა ბოროტმოქმედმა, ქარელის რაიონის სოფელ რუისის მცხოვრებლებმა მხეცურად მოკლეს გორის რაიონის სოფელ ქვახვრელის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. გაბინაშვილი და კოლმეურნეობის მიწათმოქმედი ზ. ჯანეიშვილი, რომლებიც შეედავნენ დაეკავებინათ ისინი კოლმეურნეობის ვენახებიდან მოსავლის მოპარვის დროს.

ამ ფაქტის გამო სოფელ რუისში გამართული მოქალაქეთა საერთო კრების საკითხი განიხილა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ, რომელმაც პრინციპულად შეფასა მომხდარი ფაქტი და რეკომენდაცია მისცა გაეხადათ იგი საყოველთაო-სახალხო განხილვის საგანი.

— როგორ მიმდინარეობდა მოქალაქეთა კრებები და სოფლის ყრილობები?

— მათ არა მარტო გამოავლინეს და დაგმეს თავიანთ სოფლებში მრავალი ნეგატიური მოვლენა, არამედ შექმნეს კიდეც საბრძოლო პრობლემების სახლობაგადოებრივი განხილვის ატმოსფერო, წამოაყენეს არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის კონკრეტული წინადადებანი. სულ მოქალაქეთა ყრილობებსა და საერთო კრებებზე შეტანილი იყო 3000-ზე მეტი შენიშვნა და წინადადება.

აბაშის, ადიგენის, ახაინძის, ამბროლაურის, ბოგდანოვკის, ვანის, გეგეჭკორის, ქარელის, ზუგდიდის, ჯავის, ქობულეთისა და სხვა რაიონების ყრილობათა უმრავლესობამ მოითხოვა კიდევ უფრო შემცირდეს იმ სავაჭრო წერტილებისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების რიცხვი, რომლებსაც უფლება აქვთ ავაჭრონ სპირტიანი სასმელებით, მკაცრი კონტროლი დაუწესონ გამქირავებელი პუნქტების საქმიანობას, რომლებიც სადღესასწაულო ხუფრებს, ქეიფებს უზრუნველყოფენ შესაბამისი ინვენტარით, აგრეთვე სავაჭრო ობიექტებს, რომლებიც ამგვარი მოვლენების შემთხვევაში უიდიან დიდი რაოდენობის ალკოჰოლიან სასმელებს.

სოფლის მცხოვრებნი სერიოზულ აღშფოთებას გამოთქვამდნენ მოშაბაშეობის გამო. აღინიშნა, რომ იგი ნამდვილად სოციალური უბედურება გახდა რესპუბლიკის მაღალი მთის რეგიონებისათვის.

კერძოდ, ახალქალაქის, ახალციხის, ამბროლაურის, ბოგდანოვკის, გარდაბნის, დმანისის, ლენინგორის, მარნეულის, წალკის და სხვა რაიონების მშრომელთა ყრილობებზე გამოთქვა წინადადება მოშაბაშეთა მიმართ ადმინისტრაციულ ღონისძიებათა გამკაცრების შესახებ. წამოაყენეს წინადადება ჩამოართვან მათ საკარმიდამო ნაკვეთები ან მნიშვნელოვნად ჩამოაკლონ, შეუწლუდონ პირადი პიროუტყვის შენახვისათვის მინიჭებული შეღავათები.

აბაშის, ზუგდიდის, მცხეთის, გურჯაანის, კასპისა და სხვა რაიონების ბევრ სოფლის ყრილობაზე მკაცრად გააკრიტიკეს ცალკეული სასოფლო საბჭოების ხელმძღვანელები საკოლმეურნეო წესდების, მიწათსარგებლობის შესახებ კანონის დაცვისადმი სუსტი კონტროლისათვის.

სოფლის ყრილობებისა და მოქალაქეთა საერთო კრებების შედეგების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მრავალი რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოს აღმასკომები ნიადაგ სრულყოფენ მუშაობას იმისათვის, რომ შეისწავლონ და გაავრცელონ მშრომელთა ყრილობების მოწყობის პრაქტიკის დადებითი გამოცდილება, განუმარტავენ მოსახლეობას პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს დადგენილებებს, სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოთა გადაწყვეტილებებს.

— უთუოდ დიდი მუშაობაა გაწეული სოფლის ყრილობების მოწყობისა და სწავლისა და სრულყოფისათვის. რა ნაკლოვანებანი გამოავლინა ახლახან გამართულმა დაბებისა და სოფლების მოქალაქეთა კრებებმა?

— სამწუხაროდ, ნაკლი ბევრი იყო. ისინი რომ შევაჯამოთ, ეს, უწინარეს ყოვლისა, კრებებისა და ყრილობების ცალკეულ ორგანიზატორთა ფორმალური მიდგომაა ესოდენ მნიშვნელოვანი საქმისადმი. ზოგან დაკნინებულია მათი როლი, პროფესიონალური და აღმზრდელობითი მნიშვნელობა.

ყრილობების ანალიზი გვიჩვენებს აგრეთვე იმას, რომ ადგილობრივი საბჭოების დეპუტატებს არა აქვთ ავტორიტეტი, მათ თითქმის არ მიმართავენ მოქალაქეები თავიანთი კრიტიკული შენიშვნებით. მთელ რიგ საერთო კრებებს ესწრებოდნენ ძირითადად ქალები, ხოლო მართლწესრიგის დამრღვევები, გამცდენები, ლოთები, ზარმაცები და მუქთახორები, რომლებზეც მკაცრი სჯაბაასი მიმდინარეობდა, არ გამოცხადებულან.

—რა ღონისძიებებია განსაზღვრული სოფლის ყრილობების გააქტიურებისათვის, მათზე მიღებულ გადაწყვეტილებათა ეფექტიანობის გაძლიერებისათვის?

— პრეზიდიუმის სხდომაზე დასახა კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა მიზანია სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის მოთხოვნათა მიხედვით გააქტიურდეს მართლწესრიგის დამრღვევებზე საზოგადოებრივი ზემოქმედების, ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებებზე საერთო შეტევის გაძლიერების ეს ნაყოფიერი ფორმა.

ადგილობრივ საბჭოებს მიეცათ ზუსტი მითითებანი, რათა გააუმჯობესონ საქმიანობა ამ მიმართულებით, ერჩიათ უფრო ფართოდ გამოიყენონ შრომითს კოლექტივებში წარმოშობილი საინტერესო ინიციატივები, ხელი შეუწყონ მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებას.

უნდა გავზარდოთ მშრომელების, ყველას და თითოეულის აქტიურობა ალმფენებლობითა მუშაობაში ნაკლოვანებების, ბოროტმოქმედების, ყველანაირი ავადმყოფური გადმონაშთების, ჩვენი უფლებისა და მორალის ნორმებიდან გადახრების დაძლევაში. დემოკრატია — ესაა-და-კანონ იქნება სოციალისტური კანონიერების განმტკიცების უმნიშვნელოვანესი ბერკეტი, ხოლო მტკიცე კანონიერება — ჩვენი დემოკრატიის განუყოფელი ნაწილი.

მ. ს. გორბაჩოვი.

ვამრავლოთ კეთილი ტრადიციები

გეგეჭკორი

გეგეჭკორის რაიონის სალხინოს სოფლის მშრომელთა ყრილობაზე, რომელიც გაიმართა დევიზით „მშობლიური სოფლის კარგი ტრადიციების დამკვიდრება თითოეულისა და ყველას ღირსების საქმეა", სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ტ. კილასონიამ მკაცრად და მოურიდებლად ილაპარაკა წრეგადასული და ყოველგვარ ზომიერებას მოკლებული ქორწილების, ქელეხებისა და სხვა მიზნით მოწყობილი ხალხმრავალი სუფრების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების თაობაზე, ზემდგომი ორგანოების დადგენილებათა შესრულებისათვის გაწეულ მუშაობისა და ამ საქმეში ჯერ კიდევ არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებზე.

ყრილობის მუშაობამ თვალნათლივ დაგვანახვა, რომ სოფლის აქტივი ჯერაც არ არის შეკრული ერთ ძლიერ მუშტად ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ საბრძოლველად. ჩვენი უურადღება მიიპყრო მოწინავე მიაბრეშუმის ლალი კვაშილავას გაბედულმა გამოსვლამ, რომელმაც მტკიცედ მოითხოვა ბრძოლის გამწყვეტება არა მარტო მუქთახორობისა და სამართალდაძღვეევთა წინააღმდეგ, არამედ საერთოდ პასიურობისა და პასიურების წინააღმდეგაც.

აქტივის პასიურობა და წაყურეება რომ არა, ალბათ, სოფელში შარშან არ მოხდებოდა სამი სასლის სამართლის ამაზრზენი დანაშაული. ყველაზე საგანგაშო, რამაც სოფელი და მთელი რაიონი შეძრა, ის იყო, რომ მათმა თანასოფლელმა ვ. ცაავამ ძალის გამოყენებით გააუპატიურა მეზობლის მცირეწლოვანი გოგონა. ახალგაზრდებმა მ. კვესელავამ და ს. კალანდიამ ავტომანქანის გატაცება რომ ვერ მოახერხეს, ხრამში გადაჩეხეს. ს. ნანავა შინაურებს დაერია და მის მოგვარე ქალს ნ. ნანავას მძიმე ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

სოფლის სიკეთე უნდა მოვაკლოთ უსაქმურებს, მუქთახორებს, მედღეხვალიებს, წავუყენოთ მათ საკოლმეურნეო წესებით გათვალისწინებული მოთხოვნები, დავუკარგოთ ხალხის ქონების ხელყოფის, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დარღვევის მადა. ასეთი იყო ყრილობის მონაწილეთა ერთსულოვანი აზრი.

სალხინოში ჯერაც არ არის აღმოფხვრილი მეზობლური და ოჯახური დავის შედეგად წარმოშობილი კონფლიქტები, რომლებიც ხშირად სისხლის სამართლის დანაშაულობამდე მიდის. ასეთი შედეგით შეიძლება დამთავრდეს ხარიტონ და თენგიზ ცაავების შორის უკვე სამი წლის მანძილზე გაჭიანურებული მეზობლური უთანხმოება, რომელსაც ბოლო არ უჩანს. სოფელში არის წვრილმანი ქურდობის ფაქტები, საკოლმეურნეო მინდვრებსა და ზვრებში მოსავლის აღება-დაბინავების პერიოდში იპარავენ მათივე მოწეულ სიმინდს, ჩალას, ყურძენს. მკაცრი კონტროლი არ არის დაწესებული და ჯეროვან რეაგირებას არ ახდენენ მიწისა და ბუნების დაცვის კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევებზე, არის საკოლმეურნეო მიწების მითვისების, სახელმწიფო და საკოლმეურნეო ტყეების უნებართვოდ ჭრის, გარემოს გაჭუჭყიანების, ნადირობისა და თევზჭერის წესების დარღვევის მრავალი მაგალითი.

ლამაზი და ეკონომიურად ღონიერი სოფელია სალხინო.

გასულ ხუთწლედში ორი მილიონი მანეთი მოხმარდა სოფლის ბევრი სოციალური საკითხის მოგვარებას, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სხვა დანიშნულების ობიექტების აგებას. ამას კი დაფასება უნდა, — ითქვა ყრილობაზე.

უკვე მეხუთე წელია სოფელში დამკვიდრდა სახალხო დღესასწაული „სალხინობა". ტრადიციად ქცეული ეს ზეიმი ყოველწლიურად ახალ-ახალი ფორმებით ივსება, ამან კი ფრთები შეუკვეცა რელიგიურ დღესასწაულს წაჩხურობას.

სალხინოს მშრომელთა სასოფლო ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. მელქაძემ. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდა აგრეთვე საქართველოს კომპარტიის გეგეჭკორის რაიკომის პირველი მდივანი ი. მოწერელია.

ხაშური

ხაშურის რაიონის ალის სასოფლო კულტურის სახლში ჯგუფ-ჯგუფად შეძოდიოდნენ მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშამოსამსახურეები. პოლიტიკური ლიტერატურის გამოფენა, რომელიც კულტურის სახლის ფოიეში მოეწყო, ბევრ დამთვალიერებელს იზიდავდა. აქ მნახველები ეცნობოდნენ ბროშურებს საბჭოური ცხოვრების წესების შესახებ, მხატვრულ ლიტერატურას. სულ მალე კულტურის სახლის 400-ადგილიანი საკრებო დარბაზი ხალხით აივსო, ეტყობოდა, სოფელი დიდი, სერიოზული საკითხებისათვის ემზადებოდა.

...ქვახვრელში მომხდარი ამბავი, აქ დატრიალებული უბედურება რესპუბლიკის ყველა მშრომელს, ყველა პატიოსანი ადამიანს გულსა და გონებას მისწვდა, ერთნაირად აალელვა და ჩაფიქრა ისინი მომხდარმა საშინელმა ამბავმა.

ავარდა მრისხანების ალი, ქვახვრელისა და რუისის მოსახლეობამ თავიანთ სასოფლო ყრილობებზე რომ დაანთო. არა, ეს შურისძიების ალი როდია. ეს გაფრთხილებაა ყველას მიმართ — ვინც შრომას მუქთახორობას არჩევს, ვინც პირად, ვიწრო ინტერესებს საზოგადოებრივზე მაღლა აყენებს, სოფელში ცხოვრობს და სოფლისათვის არ ზრუნავს, ვინც დღემუდამ იმის მცდელობაშია — საზოგადოებას რაც შეიძლება მეტი წაგლიჯოს და რაც შეიძლება ნაკლები, ან სულაც არაფერი არ მისცეს.

აი, რის შესახებ გაიმართა გულახდილი და პრინციპული საუბარი ალის სასოფლო საბჭოს სოფლების მოსახლეობის წარმომადგენელთა კრებაზე, რომელიც განხილა სოფლად საბჭოური ცხოვრების წესის, კარგი ტრადიციების დამკვიდრების, კერძომესაკუთრულ ტენდენციებთან, ადამიანთა შეგნებაში შემორჩენილ ნეგატიურ გადმონაშთებთან შეურიგებელი ბრძოლის საკითხი.

სწორედ რომ დროული აღმოჩნდა ამ საკითხზე ბჭობა, აზრთა გაზიარება, რადგან მეურნეობის ეკონომიკის დაქვეითების ტენდენციას, რომელმაც უკანასკნელ წლებში ლამის შეუქცევადი ხასიათი მიიღო, ხელი შეუწყო სწორედ დისციპლინის მოშლამ, მეურნეობის საერთო საქმეებისადმი ზოგიერთი თანასოფლელის აგდებულმა, უპასუხისმგებლო დამოკიდებულებამ, უშრომელ შემოსავლზე დახარბებამ.

წლიდან წლამდე მეურნეობის ხელმძღვანელები მუშახელის ნაკლებობას უჩივნან. საფუძვლიანია ასეთი ჩივილი? მივმართოთ ციფრებს: ალის სასოფლო საბჭოში შემავალ სოფლებში 4097 კაცი ცხოვრობს.. აქედან შრომისუნარიანია 2024, მეუფნეობაში კი 567 კაცია დასაქმებული. სად არიან დანარჩენები? 345 დისასახლისია და სახლიდან გარეთ არ გამოდის, 50-მდე კაცი, პირიქით, სახლში არ შემოდის — მოშაბაშეობს და ფულის დევნაში რუსეთის ხან რომელ ქალაქში ამოყოფს თავს, ხან რომელში, სხვები ან სხვაგან მუშაობენ, ან მუქთახორობენ და ა. შ.

დაგვეთანხმებით, საოცარი და გულსატკივნი სტატისტიკაა.

და განა საკვირველია ამის შემდეგ, რომ კრებაზე ვერც ერთმა გამომსვლელმა ვერ გაიხსენა, როდის შესრულდა უკანასკნელად მევენახეობის ამ მეურნეობაში ყურძნის წარმოებისა და დამზადების გეგმები?

სოფლის სიკეთით — სასმელი და სარწყავი წყლით, წისქვილით, საძოვრით, ელექტროენერგიით, გაზით, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურებით კი ყველა სარგებლობს — გამრჯე, მოშაბაშეც, მუქთახორაც...

— კმარა! — ითქვა კრებაზე, — ძველებურად ცხოვრებას აღარ ვაპირებთ. დაუდეგარი შრომა, მუშაობისათვის თავის არიდება, სამუშაოს გაცდენა, წრეგადასული ღრეობა და ქელეხი, ლოთობა და მუქთახორობა უდიდეს ზარალს აყენებს სოფელს, მეურნეობას, ყველა ჩვენგანის ოჯახს. უარაყოფთ ეკონომიკურ ეფექტთან ერთად ასეთი ანომალიური მოვლენები რყვნის კიდეც ადამიანებს.

განა უზნეობამ არ მიიყვანა სოფლის ახალგაზრდები განსასჯელის სკამზე, განა სოფელმა არ წაუყრია გ. ნოზაძის, მ. გარსევანოვის, ზ. გაგნიძის, ა. დევიძის, ა. ნოზაძის ადრე ჩადენილ წვრილ-წვრილ დანაშაულს, რაც საბოლოოდ მათ მსგავსი დანაშაულისაკენ უბიძგა და ერთ შვენერად დღეს სოფლის მაღაზია გატეხეს?

უფრო ადრე სკოლიდან სეიფი გაიტაცეს, მეცხოველეობის ფერმიდან გოჭები მოიპარეს უცნობმა პირებმა, რთველი დაიწყო და ნაბატონის უბანზე ეფლეცეს ვენახი პირწმინდად გაეკრიფათ.

„რა ჩემი საქმეა"-ს მანკიერი პრინციპების გამოცოცხლებამ გაზადა შესაძლებელი დაუსჯელად ეპარაბაშა სოფელ ბრილში მცხოვრებ ჯ. სტეფნაძეს და თავის ოჯახში პორნოგრაფიული ფილმების „კვირეულები" გაემართა.

ამ უზნეობის ამკრძალავი ან დამგმობი თვეების მანძილზე სოფელში არავინ არ გამოჩნდა.

ლოთობამ, ხალხმრავალმა ქორწილებმა და ქელეხებმა, ითქვა კრებაზე, შელახეს სოფლის ტრადიციები, მეტიც, ისინი ხშირად ახალ დანაშაულს ბადებენ.

აი, რამდენმა სიმახინჯემ და უმსგავსობამ მოიკიდა ფეხი ჩვენს ყოფაში. რას აკეთებენ ამ მახინჯი მოვლენების აღმოსაფხვრელად მეურნეობისა და სასოფლო საბჭოს თავკაცები, დეპუტატები, პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები, მართლწესრიგის დამცველები?

თითქმის არაფერს! სჯერდებიან დეკლარაციული ხასიათის ლოზუნგებს, აი იღებენ გადამჭრელ ზომებს დამნაშავეობის წინააღმდეგ, საქმით არ ზრუნავენ სოფლად წესრიგის განმტკიცებისათვის.

კრების მოთხოვნები მთლიანად ასახავა მიმართვაში სასოფლო საბჭოს სოფლების მოსახლეობისადმი, რომელსაც წითელ ზოლად გასდევს დღევანდელი დღის სულისკვეთება — ვიცხოვროთ და ვიშრომოთ კომუნისტურად, დავამკვიდროთ მშობლიური სოფლის კარგი ტრადიციები.

ყვარელი

გაიმართა „ქინძმარაულის" მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის და ქალაქის მშრომელთა ხალხმრავალი კრება. ყვარლის „ქინძმარაულის" მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებმა და ქალაქის ინტელიგენციის წარმომადგენლებმა განიხილეს საკითხი — მშობლიური ქალაქის, სოფლის კარგი ტრადიციების დამკვიდრება თითოეულის ღირსების საქმეა.

მომხსენებლებმა — ყვარლის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ გურამ სეფაშვილმა, „ქინძმარაულის" მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ინდიკო სეფაშვილმა, კამათის მონაწილეებმა პირუთვნელად ამხილეს ყვარელელთა ყოფა-ცხოვრებაში ჯერ კიდევ არსებული ნეგატიური მოვლენები, რომლებიც თავისთავად ქმნიან შრომითი რესურსების დეფიციტს, ამრავლებენ მუქთახორებს, საზოგადოებრივი შრომისაგან თავის ამრიდებლებს, მაქინატორებს.

ამას გარდა, სგრძნობლად მოიკიდა ფეხი კერძომესაკუთრულმა ტენდენციებმა. მოსახლეობის ერთმა ნაწილმა სწორად ვერ გაიგო მითითება საკარმიდამო მეცხოველეობის განვითარების შესახებ. ზოგიერთი მთლიანად საკუთარი პირუტყვის დიდი რაოდენობით მოშენებაზე გადავიდა და საზოგადოებრივ მეურნეობას სათოფედაც არ ეკარება.

კრებამ მკაცრად გაკიცხა ეგრეთ წოდებული „ფრენიები", რომლებიც 6-7 თვით ტოვებენ სოფელს და ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში მიდიან სამუშაოდ. ასე იქცევიან, მაგალითად, ვალიკო პატარქალიშვილი, მერაბ ტოჩილაშვილი, გივი ბოჭორიშვილი, ნოდარ ჩიხიაშვილი, ზურაბ ტოჩილაშვილი და სხვები.

— საოცარი ის არის, — ითქვა კრებაზე, — რომ უქნარა და საზოგადოებრივი საქმის თავისამრიდებელი უფრო მეტ პრეტენზიას აცხადებს, ვიდრე სხვა. ამას წინათ რაისაბჭოს აღმასკომმა მიიღო განცხადება, რომლითაც მეურნეობის საუწყებო ბინაში მცხოვრები თენგიზ შიშნიაშვილი თხოულობდა საცხოვრებელი ფართობის მომატებას. ბინა, როგორც იგი ცხოვრობს, თავის დროზე მიიღო მამამისმა სოსო შიშნიაშვილმა. შემდეგ მან ბინა დაუტოვა შვილს და თვითონ განუდგა მეურნეობას. ახლა არც შვილი იწუხებს თავს მუშაობით. 1984 წელს თენგიზ შიშნიაშვილმა მეურნეობაში გამოიმუშავა 33 კაცდღე, 1985 წელს კი სრულებით არ უმუშავია. სწორედ ასეთი „მუშა" მოითხოვს საბინაო პირობების გაუმჯობესებას. როგორც ხედავთ, არიან ისეთი პიროვნებანი, რომელთაც ყოველგვარი სიკეთით სურთ ისარგებლონ, მეურნეობას რაც შეიძლება მეტი დასცინცლონ, ისე რომ თვითონ არაფერი გასცენ, შრომით თავი არ შეიწუხონ.

კრებაზე ფართო მსჯელობა გაიმართა საზოგადოებისთვის ერთერთი ყველაზე უფრო საშიში მტრის — ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის საკითხებზე.

აქვე ამხილეს აგრეთვე ქალაქში საპასპორტო რეჟიმის დარღვევის შემთხვევები. მაგალითად, ყვარელში ბევრი უსაქმური „მდგმური" ცხოვრობს ჩაუწერავად. ვაჟა-ფშაველას ქ. № 35-ში დიდი ხანია ჩაუწერავად ცხოვრობს ნატო ნოდარის ასული მიქუტიძე, მთიაკაშვილის ქ. № 18-ში უპასპორტოდ ცხოვრობს მზია რაჟდენის ასული გოგებაშვილი. ასეთი ფაქტები კიდევ ბევრი დასასახელეს.

დამსწრეებმა აღშფოთება გამოთქვეს იმის გამოც, რომ ქალაქში ბოლო დროს ფეხი მოიკიდა სპეკულაციამ, თავაშვებული გადამყიდველები თავისუფლად „ვაჭრობენ" წარმოება-დაწესებულებებში, ორგანიზაციებში და ხელმძღვანელი მუშაკები ამას გულგრილად უყურებენ.

ფართო მსჯელობა გაიმართა ქალაქში საზოგადოებრივი, სანატორიული წესრიგის განმტკიცების თაობაზეც, სახელოვანი წინაპრის ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთვის საიუბილეო თარიღისათვის მზადების საკითხებზე. საბჭოური ცხოვრების წესის შესაფერისი ტრადიციების დამკვიდრების ღონისძიებებზე, რაც კრების მიერ მიღებულ რეზოლუციაში აისახა.

თერჯოლა

სოფელი გოდოგანი თერჯოლის რაიონში კი არა, მთელ რესპუბლიკაში იყო განთქმული თავისი სიმდიდრით, სილამაზით და ბრომისმოყვარე ადამიანებით. მაგრამ ბოლო ხანს სოფელმა თანდათან დათმო პოზიციები, კოლმეურნეობა ჩამორჩა. მეთერთმეტე ხუთწლედში გოდოგნელებმა ვერ შეასრულეს მარცვლეულის, ბოსტნეულის, მეცხოველეობის პროდუქტებისა და ფულადი შემოსავლის გეგმები. წარმოებული პროდუქცია კი ძვირი დაუჯდათ, კოლმეურნეობის რენტაბელობის დონე მხოლოდ 8 პროცენტი იყო.

რამ მიიყვანა კოლმეურნეობა ამ სავალალო მდგომარეობამდე? ამ შეკითხვას პასუხი გასცა გოდოგნის სასოფლო ყრილობამ, რომელსაც დაესწრენ ამ სასოფლო საბჭოში შემავალი სოფლების — ნაგარევის, ჭალასთავის, ბროლისქედის მშრომელები. ყრილობამ განიხილა საკითხი: „დაუნდობელი ბრძოლა წარსულის მავნე გადმონაშთებს, შშობლიური სოფლის კარგი ტრადიციების დამკვიდრება თითოეულის და ყველას ღირსების საქმეა".

ყრილობაზე გულახდილად ითქვა, რომ სოფლისა და კოლმეურნეობის თავკაცებმა ფეხი ვერ აიწყვეს საქმეს, მოიშალა შრომის ორგანიზაცია, შესუსტდა დისციპლინა, ბევრმა აქაურმა უდალატა საერთო საქმეს, ზურგი შეაქცია კოლექტივს, იოლი ცხოვრების მოსურნენი იქით გარბიან, საითაც მეტი სარგი ეგულებათ.

შარშან შრომის სავალდებულო მინიმუმი ვერ შეასრულა 77 შრომისუნარიანმა კოლმეურნემ, ანუ 30-მა პროცენტმა. მრავალად არიან ისეთები, რომლებიც ლახვარ კოლმეურნის ღირსებას. შარშან მხოლოდ თითო კაცდღე აქვთ გამომუშავებული ოთხო მაღლაკელიძეს, ლიანა შერგელაშვილს, თინა შველიძის აქტივში ორი კაცდღე, ხოლო ნანი ხუციშვილს გამომუშავებული აქვს 7 კაცდღეა. ათიდან ოცდაათამდე კაცდღე გამომუშავეს ნაზი ალფაიძემ, შაქრო გიორგაძემ, მარგალიტა ხუციშვილმა, გულნარა ჭანკვეტაძემ და ა. შ. ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ ვაი-კოლმეურნეები სოფლის ყველა სიკეთით სარგებლობენ მოწინავე მშრომელთა თანაბრად. ამიტომაცაა, რომ ორთვიურის დროს 67 ასეთი მუქთახორა გამოვლინდა. სოფელში დიდია შრომითი რესურსების მიგრაცია. ყოველ დილით ქუთაისის საწარმოდაწესებულებებში სამუშაოდ 600-ზე მეტი კაცი გადის. საქმეს ისიც ართულებს, რომ ქალაქის ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ერთი ნაწილი სამუშაოზე ხალხს იღებს სოფლის ხელმძღვანელთა ყოველგვარი ნებართვის გარეშე.

სოფლის უპატიოსნო ადამიანები ცდილობენ უკანონო გზით გამდიდრებას. მასობრივად გავრცელდა საფრინველეების უნებართვო შენებლობა. მაგალითად, ფრინველის უნებართვო გამოზრდას და რეალიზაციას ეწევიან ლევან გაბრიეძე, ფრიდონ მარგველაშვილი, ნოდარ ნერგაძე, ზურაბ ხუციშვილი, კოწია საქარაშვილი და სხვები. ისინი ვერ ასრულებენ შრომის სავალდებულო მინიმუმს.

ისეთება უწესრიგობით სახელგატეხილ სოფელს მძიმე ტვირთად აწევს აქ გამავალ ავტოტრასაზე მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევების სიმძიმე, რომელთა უმრავლესობა ნასვამმა მძღოლებმა ჩაიდინეს.

ბოლო ხანს ბევრი რამ გაკეთდა სასოფლო საბჭოში შემავალ სოფლებში წარსულის მავნე ტრადიციების აღსაკვეთად, მაგრამ ფულის მოხვეჭის სურვილით შეპყრობილი ადამიანები კვლავაც ხრიკებს მიმართავენ. სოფელ ჭალასთავში მცხოვრებმა ვახტანგ ხუციძემ მთლიანად დაკარგა თავმოყვარეობა. იგი ვერ გაეკეცა სოფლის ხელმძღვანელობის მოთხოვნას, იძულებული გახდა დედის დაკრძალვა მოეწყო ზომიერად. მაგრამ ამ დღიდან ორი კვირის გავლის შემდეგ ჩამოიარა სოფელში და თვითონვე კრეფდა ფულს იმ მოტივით, რომ მას სხვებთან მიტანილი ჰქონდა და ჩემი ხომ უნდა ავინაზღაუროო. აი სადამდე შეიღახა ადამიანური ღირსება და სინდისი. სოფელს არცხვენენ ძმები უშანგ და ივანე კალმახელიძეებიც, რომელთაგან ერთი ქუთაისში ცხოვრობს, მეორე კი ტყიბულში. აქ კი მამაპაპეული ქონება ვერა და ვერ გაუყვიათ.

გოდოგნის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე შექმნილი მძიმე მდგომარეობა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების, კომუნისტების, სასოფლო საბჭოს დეპუტატებისა და აქტივისტების, მუდმივი კომისიების მუშაობის მოდუნების შედეგია. განსაკუთრებით შესუსტებულია მომთხოვნელობა და პასუხისმგებლობა, იდეოლოგიური მუშაობა.

ყრილობამ პირდაპირობისა და გულახდილობის ვითარებაში გამოაკლინა არსებული ნაკლოვანებანი, დარღვევები და შეცდომები, დაგმო ყოველივე ნეგატიური, გულისწყრომით დაგმო მუქთახორები და ავყიები, სოფლის შემარცხვენლები, დასახა მუშაობის ძირფესვიანი გარდაქმნის გზები, მოუწოდა სასოფლო საბჭოს ყველა მშრომელს, ყველაფერი იღონონ ცხოვრების ნორმალურ კალაპოტში ჩაყენებისა და გოდოგნის კვლავ მოწინავე სოფლად გადაქცევისათვის.

გოდოგანმა უნდა აღიდგინოს დაკარგული სახელი — ასეთია ყრილობის მონაწილეთა ერთსულოვანი აზრი.

ვ. ჩაჩიბაია, ვლ. მჟედლიშვილი, გ. ვაშაკიძე, დ. გერგიშვილი, ჰ. შარიქაძე,
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტები.

ცნობილი

ცნობილი სოფლის მექანიზატორის პაშა ანგელინას პრიზს ზედიზედ მეორე წელია ინარჩუნებს სიღნაღის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორი ნელი ვარდიაშვილი. მან შარშან ტრაქტორ „მტზ-80"-ით საგეგმო 600 პირობითი ჰექტარის ნაცვლად გამოიმუშავა 900 ეტალონური ჰექტარი და დაზოგა 6,5 პროცენტი საწვავ-საპობი მასალები. დაზოგილია აგრეთვე რემონტისა და ტექნიკური მომსახურების სახსრების 14 პროცენტი.

მოსკოვში ნელი ვარდიაშვილმა გაიცნო პაშა ანგელინას პრიზის მფლობელი, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ცნობილი ნოვატორი, დონეცკის ოლქის სტარობეშევკის რაიონის კოლმეურნეობა „ილიჩის ანდერძის" მემანქანე ტრაქტორისტი მ. ხონახბეევა. სწორედ სტარობეშევკის რაიონში დაიწყო პაშა ანგელინას მიმდევართა მოძრაობა.

სურათზე: მ. ხონახბეევა უყლაკავს ნ. ვარდიაშვილს საპატიო ჯილდოს.

ა. ნაუმენკოს ფოტო.



საგარეჯო

ხაშმი საგარეჯოს რაიონის ერთ-ერთი მდიდარი და ლამაზი სოფელია. ორგულსა და უსაქმურს კიდეც შეშურდება მისი კულტურის სახლი, სადაც ეს ყრილობა გაიმართა.

ახლა მართლაც რომ რაღაც უჭირს ამ განთქმულ, მადლიან სოფელს. საქმე ის არის, რომ რატომღაც აქურებს თვალი ქალაქისაკენ უჭირავთ და გულიც იქით მიუწევთ. დღეში სამი ავტობუსი დადის ხაშმი — თბილისის მიმართულებით, მანქანები ხალხით გადატვირთულია ყოველთვის და მაინც კიდევ არ ჯყოფნით. 960 შრომისუნარიანი მუშაკიდან 322 არ მუშაობს მეურნეობაში, 206 კაცი გარე საამუშაოზეა წასული. ბევრმა საქნავთობის გაერთიანებას შეაფარა თავი, იქვე ხაშმის საძიგრო ჭაბურღილებზე მუშაობს. აქაოდა, კარგი გამომუშავებაო, ზოგი ოჯახიანად აიბარგა სოფლიდან.

...ეგრე არაო, თაყაო! უთხრეს ყრილობაზე მათ სოფლის საბჭოს თავმჯდომარემ, მეურნეობის დირექტორმა, მეზობლებმა, მეგობრებმა. ჯერ ერთი, რომ ეს საბჭოთა მეურნეობა სოფლის იმედით არის, მეორეც ის, რომ, ვის პურსა ჭამთ, ვის წყალსა სვამთ, ეს განათებული ქუჩები და

ინტერფაქტი
ფაქტები • მოვლენები

● კამპუჩია

სამართლიანი შეშფოთება

პნომპენი. **სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში შექმნილი მდგომარეობა სამართლიან შეშფოთებას იწვევს მსოფლიოში. გარეშე ძალები, რომლებმაც პროვოკაციულად გამოუცხადებელი ომი წამოიწყეს კამბოჯის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ, ყოველნაირად უშლიან ხელს რესპუბლიკაში სიტუაციის მოწესრიგებას, ამწვავებენ დაძაბულობას კამბოჯასთან, ვიეტნამთან და ლაოსთან რეგიონის მთელი რიგი ქვეყნების ურთიერთობაში, ნათქვამია კამბოჯის საინფორმაციო სააგენტოს კომენტარში.**

„ცხელი წერტილის“ წარმომშობა ინდოჩინეთში, შეიარაღებული კონფლიქტის სამხრეთის ზრდა აქ ამერიკის იმპერიალიზმის ნეოგლობალური პოლიტიკის შედეგია, რომელსაც დაგეგმილი აქვს მიაღწიოს მსოფლიო ბატონობას, ისწრაფვის დამორჩილოს დამოუკიდებელი განვითარებადი ქვეყნები, აღნიშნავს სააგენტო. შეერთებული შტატების აგრესიული სტრატეგიის ცენტრშია აზიის კონტინენტი, სადაც ვაშინგტონი ხალხთა რევოლუციური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მერყეველობისთვის ყველაზე ბინძური მეთოდებს მიმართავს.

რეგიონის პრობლემებისადმი სხვაგვარი მიდგომის მაგალითია სსრ კავშირის თანამიმდევრული მშვიდობისმოყვარული კურსი. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მდგომარეობის ნორმალიზაციისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის ინიციატივებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია აზიისა და წყნარი ოკეანის აუზის შესახებ საბჭოთა მთავრობის განცხადებაში.

● შვეიცარია

ჰ. ბლიქსის ინტერვიუ

სტოკჰოლმი. **ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა ჰ. ბლიქსმა კმაყოფილება გამოთქვა სსრ კავშირში მოგზაურობის შედეგების გამო, სადაც იგი ახლახან იმყოფებოდა სსრ კავშირის მთავრობის მოწვევით ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარიასთან დაკავშირებით.**

შვეიცარის გაზეთ „დაგენს ნიუჰეტერისათვის“ მიცემულ ინტერვიუში მან აღნიშნა, რომ მას და საერთაშორისო სააგენტოს თანამხლებ თანამშრომლებს მისცეს შესაძლებლობა გასცნობოდნენ ჩერნობილში შექმნილ ვითარებას, აგრეთვე სწვეოდნენ უშუალოდ ავარიის რაიონს, სადაც ახლა მიმდინარეობს მისი შედეგების ლიკვიდაციის ინტენსიური სამუშაოები.

როგორც მეტად დადებითი ფაქტი, ისე შეაფასა ჰ. ბლიქსმა საბჭოთა კავშირის მზადყოფნა ოპერატიულად მიაწოდოს საჭირო ინფორმაცია ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს.

„მე საქართველოს გულით ალვიქვამ“

ანჯელო **როსი ბავშვობიდან ოცნებობდა საქართველო ენახა. პარტიზანული რაზმის 14 წლის მეკავშირე საქართველოს იცნობდა იტალიის წინააღმდეგობის რიგებში მასთან ერთად მებრძოლი ქართველი მეომრების ნაამბობთა და სიმღერებით.**

ომმა ბევრი უბედურება დატეხა თავს. წაართვა ხელი, თვალისჩინი, მაგრამ ვერ ჩაუკლა ოცნება. უკვე მეშვიდე წელია, რაც ანჯელო როსი საქართველოში ჩამოდის გამარჯვების დღესასწაულზე იტალიელ პარტიზანთა ჯგუფთან ერთად.

— მე საქართველოს გულით აღვიქვამ, — თქვა ანჯელომ. — გული კი მეუბნება, რომ ისეთი ადამიანების ქვეყანა, როგორიც იტალიის, ეროვნული გმირი ფორე მოსოლინელია, შეუძლებელია მშვენიერი არ იყოს.

საქართველოში ყოფნა ჩემთვის ახლობელ ადამიანებში ყოფნას ნიშნავს. აქ მუდამ ვგრძნობ მეგობრების მზრუნველ ხელს, როგორც ომის მძიმე წლებში. სამწუხაროდ, ჩვენთან სამშობლოში, ომის ვეტერანები ვერ ვგრძნობთ ასეთ პატივისცემასა და მზრუნველობას.

უდიდესი ყურადღებით არიან გარემოსილი სსრ კავშირში ომის მონაწილენი. და ჩვენ გვწამს: საბჭოთა ადამიანები არაფერს დაიშურებენ იმისათვის, რომ ასეთი უბედურება აღარ განმეორდეს, — თქვა ჯანი დაევრიომ, იტალიაში პარტიზანული მოძრაობის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა. — ჩვენს ქვეყანაში კი ზოგ-ზოგები ამბობენენ დაივიწყონ საბჭოთა და იტალიელი ადამიანების ომისდროინდელი ძმობის ხანა. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ამახინჯებენ ყველა ფაქტს საბჭოთა კავშირის პოლიტიკის, თქვენი ხალხის ცხოვრების შესახებ. ისინი მკითხველებს უნერგავენ იმ აზრს, რომ რუსებს სურთ „თავისუფალი“ დასავლეთის ოკუპაცია. ბირთვული ომის საფრთხისაგან კაცობრიობის ხსნის პროგრამას, ჩემი აზრით უნიკალურს, რომელიც ჩამოყალიბებულია საბჭოთა ლიდერის მიხეილ გორბაჩოვის განცხადებაში, გაზეთები „წითლების პროპაგანდად“ ასაღებენ.

აი, უკვე მეთხუთმეტე გაზაფხულია გამარჯვების დღესასწაულზე ჩამოვდივართ თქვენს ქვეყანაში არა მარტო იმისათვის, რომ პატივი მივაგოთ იტალიის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში დაღუპული ქართველი პარტიზანების ხსოვნას, არამედ იმისთვისაც, რომ ვუთხრათ ჩვენს თანამებრძოლებს: ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა იტალიაში გაიმარჯვონ მშვიდობის ძალებმა, — თქვა ჯანი დაევრიომ.

— მე სავსებით ვეთანხმები ჯანის, — ჩაება საუბარში ლეგენდარული გარიბალდის დივიზიის მეთაური ალბინო კალეტი, — ომის ვეტერანებმა სხვებზე უკეთ იციან, რა არის ომი. ამიტომ ჩვენ მშვიდობისათვის მოძრაობის ავანგარდში უნდა ვიყოთ.

თქვენს ქვეყანაში ყოველი ჩამოსვლა გვაფრთხილებს, რომ სსრ კავშირი უკან არ დაიხევს, თანმიმდევრულად იბრძოლებს მშვიდობისათვის. სსრ კავშირის მშვიდობისმოყვარეული პოლიტიკის შესახებ დასავლეთში ბევრ ტენდენციური სიცრუე, ამერიკის შეერთებული შტატების დემონსტრაციული აქციები, რომელიც მიზანია ... ...